ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 30 იანვარი, 2018 | №24 (7569) | ფასი: 50 თეთრი

## „ქართული ოცნება" ენდიანის წინააღმდეგ



გვ.2

ლორა თორნტონი ბოდიშის მოხდას არ აპირებს

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

## ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი ტომი 5





ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# მამუკა ბახტაძე თუ გიორგი გახარია

# ვის სასარგებლოდ გააკეთებს ივანიშვილი არჩევანს



გვ.3



„უკვე 2 თვეზე მეტია, ქართული მარში საჯაროდ და ღიად მიუთითებს შსს-ს იმ ადგილებზე, სადაც ღიად მიდის ნარკოტიკებით ვაჭრობა. მთელმა საქართველომ იცის, რომ თბილისში არის რამდენიმე ღამის კლუბი, სადაც ჩვეულებრივი ნარკოტიკების ბაზრობებია გახსნილი"

## ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერობაზე კონკურსია გამოცხადებული"





გვ.2

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ხალხმა უნდა დაინახოს, რომ პოლიციელი მის მხარესაა"

## „მარიხუანაც სერიოზულად მოქმედებს ადამიანზე. ადვოკატი ვარ და მაგის მეტი რა მინახავს?!"



გვ.5

ლალი აფციაური: „ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარების წინააღმდეგი ვარ"

## „ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში კარგი იქნება, მაგრამ არა პრეზიდენტის ამპლუაში"



გვ.3

## მეუფე სტეფანე: „ბავშვების იზოლაცია არ არის ქრისტიანობა"



გვ.4

### სამართალი

გვ.7



ია მეტრეველმა და სოსო რობაქიძემ ბრალდების მოწმეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს



ადვოკატმა ზაქარია ქუცნაშვილის მიერ რესტორანში გაწეული ხარჯის მტკიცებულებად აღიარება მოითხოვა



რუხის მშენებარე საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში ნაპოვნი მუშა გარდაიცვალა

### ეკონომიკა

გვ.6

„სინოჰიდროს" საქმეზე საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანგარიშს ერთ კვირაში დადებს



რატომ დაუბრუნდება საქართველო რუსულ გაზს?



ბადრი ჯაფარიძე: „ეს არის ყველაზე დიდი ტრანზაქცია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში"



ISSN 1987-9385

**4** სადავო მშენებლობა — ვინ რისთვის იბრძვის ატენის ქუჩაზე?

**5** „ოლიგოპოლია შესაძლოა გაჩნდეს, მაგრამ მომხმარებლისთვის საზიანო არ იქნება"

**4** ბაღის მასწავლებლის ხელფასი კვალიფიკაციით განისაზღვრება

**5** „ფიზიკურ პირებს ფულადი გზავნილების განსახორციელებლად რეგისტრაციის ვალდებულება არ ექნებათ"

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ხალხმა უნდა დაინახოს, რომ პოლიციელი მის მხარესაა“

ნათია ხურცილავა

ადამიანის უფლებათა დამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმის პროცესზე საუბრობს.

***– შინაგან საქმეთა სამინისტრო უახლოეს მომავალში ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებს გეგმავს, დასჯადი ქმედებების წრე ფართოვდება, კანონპროექტი უკვე მზად არის. გახარიამ რეფორმების პირობა დადო. ეს ყველაფერი რეფორმებისკენ მიმართული ნაბიჯებია?***

– პოლიციელების მხრიდან ადამიანების მიმართ ძალადობის ფაქტები სანამ იქნება, მანამდე მე რეფორმის გატარების სურვილის არ მჯერა. ბოლო ასეთი ფაქტი მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე“ დაფიქსირდა, როდესაც პატრული მძიმე ფორმებით ცდილობდა მამაკაცის დაკავებას. ამ ფაქტების ამსახველი ვიდეო უკვე გავრცელდა. თუნდაც ის ფაქტი როგორ შეიძლება არ გავიხსენო, როდესაც ნუცუბიძის პლატოზე ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალების ფაქტზე ძიება შეწყდა. ძველი თუ ახალი ძალადობის ფაქტების რიცხვი იზრდება, ცხადია, პოლიციელების მხრიდან ძალადობას ვგულისხმობ.

მოძალადე პოლიციელები დაუსჯელები არიან. სანამ ჩვენ არ დავინახავთ დასჯილ პოლიციელებს, მანამდე გახარიას მხრიდან განცხადება იმაზე, რომ რეფორმების გასატარებლად არის მისული, მხოლოდ ლამაზი სიტყვები იქნება და სხვა არაფერი.

***– ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა. ეს არ არის საკმარისი, მეტია საჭირო?***

– ეს ყველაფერი უფრო ვიზუალური შირმის შექმნის მცდელობა მგონია. რეალური რეფორმაა საჭირო. ერთი პოლიციელი მაინც უნდა დაისაჯოს, რომ ჩვენ ვირწმუნოთ, რომ მართლაც რეფორმების გატარება უნდა ხელისუფლებას, რომ დამნაშავე პოლიციელი დაისაჯა, რომ ის არ დგას რიგით მოქალაქეზე მაღლა, ეს არის აქ მნიშვნელოვანი. ვინმე დაისაჯა პოეტ რატიანის საქმეზე, როდესაც ბევრი დარღვევა იქნა დაფიქსირებული?! ამ შემთხვევაში პიროვნებას სისტემა დაუპირისპირდა.

***– რეფორმის რეალური შედეგი რა უნდა იყოს?***

– რეფორმამ ჯერ ხომ ეს ხალხი უნდა გამოავლინოს და შემდეგ დასაჯოს?! თუ ეს ასე არ მოხდა, რომელ რეფორმაზეა საუბარი?!

***– პირველი რა უნდა გაკეთდეს?***

– დაუსჯელობის სინდრომის დასრულებას ვითხოვთ პირველ რიგში.

***– გახარიამ თქვა, რომ დამნაშავე პოლიციელი დაისჯება.***

– სიტყვები არა – ქმედებაა საჭირო. პოლიციელებს ეპატიებათ ყველაფერი, როგორც წესი, ციხეში არასოდეს მიდიან პოლიციელები. ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველა პოლიციელი, მათ შორის კრიმინალური პოლიციელი, სამხრე კამერებით იყვნენ აღჭურვილები. საპატრულო პოლიცია კი არის სამხრე კამერებით აღჭურვილი, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი, საკვანძო მომენტის დროს, ეს კამერები გამორთულია ანუ ჩანაწერი ბუნებაში არ არსებობს. სამხრე კამარების ჩანაწერის წაშლის შემთხვევაში ეს პოლიციელები ციხეში უნდა ხვდებოდნენ.

***– სამხრე კამერით შემთხვევის გადაღება აუცილებელი უნდა გახდეს?***

– რა თქმა უნდა. ახლაც აუცილებელია, მაგრამ შლიან, რომ თავიანთი კანონდარღვევა დაფარონ. ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელია, ასეთი მკაცრი იყოს მიდგომა: თუ არ ექნებათ ჩანაწერი, მაშინ ციხეში უნდა წავიდნენ, რადგან ისინი დანაშაულს ფარავენ, რომელიც მათ ჩაიდინეს სავარაუდოდ.



რა თქმა უნდა, კარგი და ღირსეული პოლიციელებიც არიან სისტემაში, მაგრამ წარმატებულები არიან დამნაშავე პოლიციელები, ეს არის მიუღებელი და სრულიად დაუშვებელი. წარმატებული და წახალისებული სწორედ ის კარგი პოლიციელი უნდა იყოს, რომელიც მოქალაქეზე ზრუნავს და რომელიც თავის მოვალეობას მაღალ დონეზე ასრულებს.

ასევე, არ შეიძლება ის ფაქტი, რომელიც რუსთავში ვიხილეთ, მისაღები იყოს. ვგულისხმობ გენერლის მკვლელობის საქმეზე დაკავებულ და შემდეგ განთავისუფლებულ პირს, რომელსაც რამდენიმე საათის მანძილზე ჰკითხავდნენ, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს ბრალდების გარეშე.

***– თუ მტკიცებულებები არ აქვთ, რა უნდა ქნან.***

– მაშინ რის საფუძველზე იყო ამდენი ხანი დაკავებული?! ესეც ლეგიტიმური კითხვაა. გამოდის, რომ არაპროფესიონალები არიან.

***– ალბათ ძალიან ხშირად უნდა მოხდეს პატრულის, მთლიანად პოლიციის ტრენინგები, გადამზადება.***

– რა თქმა უნდა. მართლაც ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. პოლიციაში ადამიანების შერჩევისა და დაწინაურების მთავარი პრინციპი არა მონური ერთგულება, არამედ მაღალი დონის პროფესიონალიზმი უნდა იყოს. კანონის ერთგულება უნდა იყოს ამოსავალი და არა, როგორც სააკაშვილის დროს იყო, ბატონის ერთგულება. რეალური ცვლილებების ერთ-ერთი წინაპირობა არის ასევე გამჭვირვალობა. სისტემის გამჭვირვალობის მიმართულებით თუ ნაბიჯები არ გადაიდგა, მაშინ ამ პრობლემებს არაფერი ეშველება.

ჩვენ ასევე ვითხოვთ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რომელიც მთელ მსოფლიოში არის. სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს პოლიციელების მხრიდან მოქალაქეებზე განხორციელებული ძალადობის გამოძიება და მას თავად პოლიცია არ უნდა იძიებდეს ან თუნდაც პროკურატურა. ინტერესთა კონფლიქტი და სხვა ფაქტები მოდის ამ დროს წინა პლანზე.

***– ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებითაც მინდა გკითხოთ. კრიმინალთან ბრძოლა ერთგვარი გამოწვევააო, განაცხადა დეპუტატმა სესიაშვილმა. ამ მიმართულებით კანონმდებლობის გამკაცრება მნიშვნელოვანი ნაბიჯია?***

– ქურდული სამყარო, რა თქმა უნდა, ისეთივე მიუღებელია, როგორც მოძალადე პოლიციელია მიუღებელი. აქ შეუძლებელია ორი აზრი ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ კონკრეტული ანალიზი და განხილვაა საჭირო. რასაკვირველია, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და გამკაცრება მისასალმებელია.

# „ქართული ოცნება“ ენდიაის წინააღმდეგ

## ლორა თორნტონი ბოდიშის მოხდას არ აპირებს

შორენა მარსაგიშვილი



ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა „ქართული ოცნების“ წევრები წყობილებიდან გამოიყვანა და ბოდიშის მოხდასაც არ აპირებს.

მეოცნებეთა ღელვა და ნერვიულობა ამჯერად კვლევის შედეგებს არ უკავშირდება. ენდიაის კვლევებში „ოცნება“ სულ პირველ ადგილზეა და ხელისუფლებაც მიყუჩებულია.

მათ ნერვები ლორა თორნტონის იმ განცხადებამ მოუშალა, რომელიც უფრო აშშ-ის პრეზიდენტს ეხებოდა, ვიდრე საქართველოს.

რამდენიმე დღის წინ თორნტონმა სოციალურ ქსელში მორიგი პოსტი გამოაქვეყნა, რომელიც მისი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვას უკავშირდება.

ცოტა ხნის წინ ენდიაიმ ჩაატარა გამოკითხვა, სადაც ასეთი კითხვა იყო – ვის უფრო ძლიერი შეიარაღება აქვს, აშშ-ს თუ რუსეთს. გამოკითხული ქართველების უმეტესობა მიიჩნევს, რომ რუსეთის შეიარაღება ამერიკულზე ძლიერია.

ამ შედეგებმა ჩვენებური მედასავლეთეები გაამწარა. მათი აზრით, ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის შედეგია, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ კარი ფართოდ გაუღო.

ამაზე გამწარებული მეოცნებენი ლორა თორნტონს მიახტნენ.

აი, რა დაწერა თორნტონმა, რომელმაც „ოცნება“ აადუღა:

– გასულ ღამეს, „იმედის“ ჟურნალისტმა სიტყვასიტყვით მკითხა, ხომ არ გეგმავდა ენდიაი აშშ-ის და რუსეთის სამხედრო ძალებზე კითხვის ფორმულირებით ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან დაპირისპირების ლობირებას. ხმამაღლა გამეცინა. ტრამპი რუკაზე საქართველოს დიდი ალბათობით ვერც იპოვის, არათუ თვალს ადევნებს აქ ჩატარებული კვლევის შედეგებს! მაგრამ მე მომწონს ვარაუდი, თითქოს ამხელა გავლენა გვაქვს!

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ყველაზე მეტად დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი აღაშფოთა. თავისი წილი წუხილი სხვებმაც გამოხატეს, მაგრამ მათ თავისთვის კონტროლის გაწევა მოახერხეს.

თავისი აღშფოთება პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმაც დააფიქსირა, რომელიც მიიჩნევს, რომ თორნტონს ტრამპი არ მოსწონს. მის პოსტს ინაშვილი სწორედ ამ ჭრილში ხედავს.

– რბილად რომ ვთქვათ, არადიპლომატიური, არაკორექტული კომენტარია. აშშ არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ტრამპმა გადასარევად იცის, სად არის საქართველო. ის, რომ ქალბატონ ლორას არ „ევასება“ ტრამპი, ჩვენ ვიცით, მაგრამ ამან საქართველო-ამერიკის ურთიერთობებს ჩრდილი არ უნდა მიაყენოს, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა თორნტონის განცხადება სამხედრო ჭრილში შეაფასა.

– ლორა თორნტონის განცხადებამ გამახსენა ერთ-ერთი სამხედრო სპეცოპერაცია ავღანეთში, როცა ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები ალყაში მოექცნენ და ჩვენმა ჯარისკაცებმა ალყა გაარღვიეს და პარტნიორი ქვეყნის ჯარისკაცების სიცოცხლე გადაარჩინეს.

ძალიან გულსატკენია, როცა ასეთი განცხადება ამერიკული ორგანიზაციის ლიდერის მხრიდან კეთდება. მას ამერიკელი და ქართველი ჯარისკაცები სწორად ვერ გაიგებდნენ, – აღნიშნა გულნატკენმა ირაკლი სესიაშვილმა.

შესაშური დიპლომატიურობა გამოიჩინა გია ვოლსკიმ. ინტერპრესნიუსთან საუბარში მან განაცხადა, რომ თორნტონმა არა საქართველო, არამედ აშშ-ის პრეზიდენტი გააკრიტიკა.

– მეგობრებს მეტი დაფიქრება და კორექტულობა მოეთხოვებათ. ამავე დროს, არც ისაა სიმართლე, რომ აშშ-ის პრეზიდენტს მწირი ინფორმაცია აქვს საქართველოზე. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია პარტნიორი ქვეყნებისათვის, მათ შორის, რასაკვირველია, აშშ-სთვის და მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის.

მოვიგონოთ ვაშინგტონში საქართველოს პრემიერის წარმატებული ვიზიტიც. იმასაც ვაფასებ, რომ დემოკრატიულობის ხარისხი საკუთარი პრეზიდენტის ასეთი დოზით კრიტიკის საშუალებას იძლევა, მაგრამ ამისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მისიის წარმომადგენელმა, ვფიქრობ, სხვა ასპარეზი უნდა აირჩიოს. ვიცი რა საქართველოს მიმართ მისი დამოკიდებულება, მოველი, რომ ქალბატონი თორნტონი შესაბამის განმარტებას გააკეთებს, – აღნიშნა ვოლსკიმ.




ირაკლი მეზურნიშვილმა ენდიაის ხელმძღვანელისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.

მისი თქმით, ეს მოთხოვნა მმართველი გუნდის ოფიციალური პოზიცია არ არის.

ამასთან, ირაკლი მეზურნიშვილი იმასაც ამბობს, რომ განცხადების გაკეთებამდე მას გარკვეული კონსულტაცია ჰქონდა.

– ეს არის ჩემი პირადი განცხადება. ეს არ არის გუნდის ოფიციალური განცხადება. გარკვეული კონსულტაცია მქონდა, ახლა დაველოდები ჩემი გუნდის წევრების რეაქციას, – განუცხადა ჟურნალისტებს მეზურნიშვილმა.

დეპუტატმა აქვე აღნიშნა, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება არ ეხება ენდიაის, როგორც ინსტიტუტს.

მისდა სამწუხაროდ, ენდიაის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი მის მიერ გაკეთებული კომენტარის გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

– მე ვარ ამერიკის მოქალაქე. ეს არის ჩემი პირადი მოსაზრება, რომელზეც პოზიცია ჩემს პირად გვერდზე გამოვხატე. ამისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, – განუცხადა ლორა თორნტონმა ტელეკომპანია „იმედს“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა ბახტაძე თუ გიორგი გახარია

# ვის სასარგებლოდ გააკეთებს ივანიშვილი არჩევანს

## ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერობაზე კონკურსია გამოცხადებული“

შორენა მარსაგიშვილი

რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში, რა გავლენას იქონიებს საკადრო ცვლილებებზე უტა ივანიშვილთან მეგობრობა, უშლიან თუ არა ხელს მუშაობაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– „ქართულ ოცნებაში“ დიდი საკადრო ცვლილებების მოლოდინში არიან. ყურადღების გადატანის მიზნით საპრეზიდენტო კანდიდატზეც დაიწყეს საუბარი. ზოგიერთმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ ამ თანამდებობას ყველაზე მეტად ივანიშვილი შეეფერება.

ივანიშვილის გარდა, „ოცნების“ ნებისმიერ კანდიდატს გაუჭირდება არჩევნების მოგება, მაგრამ ის ამაზე არ წავა. მას ახლა სხვა პრობლემა აქვს გადასაჭრელი – გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელია მოსაძებნი.

***– პრეზიდენტობის კანდიდატი უკვე მოძებნა?***

– როგორც მე „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო მეუბნება, ამ თანამდებობისთვის ისევ ქალს ეძებენ. ყველაზე აქტიურად სალომე ზურაბიშვილის და თეა წულუკიანის კანდიდატურები განიხილება.

საბოლოო გადაწყვეტილებას ყოფილი პრემიერი მიიღებს. ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი, ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ფეხზე ადგება ივანიშვილი.

***– პრემიერის კანდიდატურის შერჩევაც იმაზეა დამოკიდებული, რომელ ფეხზე ადგება ყოფილი პრემიერი?***

– აქ ცოტა უფრო რთულად არის საქმე. ივანიშვილმა რამდენიმე პიროვნებას მისცა გამოსაცდელი ვადა. შესაძლოა, ეს სია კიდევ უფრო ვრცელია, მაგრამ მე ორ ადამიანზე მაქვს ინფორმაცია. ბიძინა ივანიშვილი ორ პიროვნებას აკვირდება. ესენი არიან ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე და შს მინისტრი გიორგი გახარია.

გახარიას უკან რაღაც დოზით რუსული ლობი დგას, მამუკა ბახტაძე კი ყოფილი პრემიერის ვაჟის – უტა ივანიშვილის – ახლო მეგობარია.

***– თქვენი აზრით, რომელს უფრო მეტი შანსი აქვს?***

– იმას, რომელიც უფრო კარგ შედეგს დადებს. შედეგების თვალსაზრისით გახარია ვერ არის კარგ ფორმაში. მისი გამინისტრების შემდეგ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა.

***– ვითარება მანამდე იყო გაუარესებული, სანამ ის შს მინისტრად დაინიშნებოდა.***

– გეთანხმებით, მაგრამ მისი მოსვლის შემდეგ შსს-მ ძალიან აურია.

***– ძალიან არევაში რას გულისხმობთ?***

– ძალიან არევას. ხალხს გიორგი მღებრიშვილიც კი მოენატრა. უკანასკნელ ხანებში ნარკოტიკების ჩადებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. რაც მთავარია, შსს არანაირ ზომებს არ ღებულობს ბარიგების დასაკავებლად.



***– გახარიას მოსვლის შემდეგ შსს-მ არაერთი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც არაერთი ნარკომოვაჭრე დააკავეს.***

– ისინი არ ყოფილან მსხვილი მოვაჭრეები. ისინი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ხალხს თვალები აუხვიონ.

უკვე 2 თვეზე მეტია, ქართული მარში საჯაროდ და ღიად მიუთითებს შსს-ს იმ ადგილებზე, სადაც ღიად მიდის ნარკოტიკებით ვაჭრობა. მთელმა საქართველომ იცის, რომ თბილისში არის რამდენიმე ღამის კლუბი, სადაც ჩვეულებრივი ნარკოტიკების ბაზრობებია გახსნილი.

***– ნარკოტიკების ბაზრობა რას ნიშნავს?***

– შედიხარ კლუბში და ეგრევე გთავაზობენ სხვადასხვა სახის ნარკოტიკებს. თუ ნარკოტიკების შეძენაზე უარს იტყვი, დაკავებულ ადგილს ეგრევე გათავისუფლებინებენ.

ჩემი ორი მეგობარი შეყვარებულებთან ერთად იმ ცნობილ ღამის კლუბში წავიდნენ. იქ ასეთი წესია, რბილ სავარძლებში თუ გინდა დაჯდომა, რაღაც თანხა უნდა გადაიხადო. ამათ იყიდეს ეს ადგილები. სასმელზეც მისცეს შეკვეთა. ამ დროს მათთან მივიდა ვიღაც ტიპი და სხვადასხვა სახის ნარკოტიკები შესთავაზა. ამათ უარი უთხრეს და განუმარტეს, რომ კლუბში მხოლოდ მუსიკის მოსასმენად იყვნენ შესულები. 15 წუთში მათთან მივიდა კლუბის დაცვა და რბილი სავარძლები დაატოვებინა.

აქ ასეთი წესი ყოფილა – როცა რბილ ადგილებს იკავებ, „ვინუჟდენი“ ხარ, ნარკოტიკები შეიძინო. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან უნდა გადაჯდე, ან კლუბი დატოვო.

***– კლუბური ნარკოტიკი შესთავაზეს?***

– არა მარტო კლუბური. შეთავაზებაში მძიმე ნარკოტიკებიც იყო. იმაში ვერავინ დამარწმუნებს, რომ შსს-მ ამის შესახებ არაფერი იცის. ძალიან კარგად იციან და ცოტა ხნის წინ იქ სპეცოპერაციაც უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს. ჩემი ახლობელი მუშაობს შსს-ში და მისგან ვიცი ეს ამბავი.

იმ ღამის კლუბში, რომლის შესახებაც ზემოთ გესაუბრეთ, ბარიგების ასაყვანად სპეცრაზმიც კი იყო გამოძახებული. 2 მარშრუტკაში მყოფი სპეცრაზმელები კლუბთან იდგნენ და ნიშანს ელოდნენ. ამ დროს დარეკეს, რომ სპეცოპერაცია აღარ ტარდებოდა და სპეცრაზმი დისლოკაციის ადგილზე დააბრუნეს.

***– ვისგან იყო ზარი?***

– ვინ დარეკავდა? ცხადია, ზარი განხორციელდა ზემოდან, იმისგან, ვისაც დაგეგმილი სპეცოპერაციის შეჩერება შეუძლია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ღამის კლუბებს ვიღაც მფარველობს. ან ეს კლუბები ისეთ პირებს ეკუთვნის, ვისაც ვერაფერს უბედავენ.

შს მინისტრი თუ ნარკომოვაჭრეებს ებრძვის, მაშინ ამ ღამის კლუბებშიც ჩაატაროს სპეცოპერაცია.

***– სპეცოპერაციის ჩასატარებლად ოპერატიული ინფორმაციაა საჭირო.***

– მერე მოიპოვონ ეს ინფორმაცია. მე ვასწავლო, როგორ კეთდება ეს? შეგზავნონ აგენტი, რომელსაც კამერა ექნება დამაგრებული. იქ ისე აშკარად მიდის ნარკოტიკების გაყიდვა, აგენტი ძალიან ბევრ ინფორმაციას გამოიტანს.

მთელი თბილისი იმაზე ლაპარაკობს, რომ აქ ნარკოტიკები იყიდება და შსს ამ ინფორმაციას არც კი ამოწმებს.

***– თქვენ რა იცით, რომ ინფორმაცია გადამოწმებული არ არის?***

– გადამოწმებული რომ იყოს, სპეცოპერაცია ჩატარებული იქნებოდა. მართლა ვერ ვხვდები, რატომ ეშინია სახელმწიფოს ბარიგების.

***– საიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს ბარიგების ეშინია?***

– რამდენიმე დღის წინ ბარიგებმა პარლამენტთან აქცია გამართეს. სამართალდამცავები მათ ახლოსაც კი არ მისულან. სხვა აქციებზე ხომ ხედავთ ხოლმე, რა დღეშია პოლიცია. აშკარაა, რომ ბარიგებს შსს-შიც ვიღაც მფარველობს.

იმედს ვიტოვებ, რომ გახარია კეთილს ინებებს და რაღაც ზომებს მიმართავს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ლეგიტიმური ეჭვი, რომ შს მინისტრი შეგნებულად არიდებს თავს ბარიგებთან ბრძოლას.

ქართული მარში ამ მიმართულებით ძალიან ვაქტიურობდით – მე, სანდრო ბრეგაძე, კორკოტა ათას მიმართვას ვავრცელებდით სოციალურ ქსელებში, მაგრამ შსს-ს ყურადღება ვერ მივაპყარით საეჭვო ობიექტებისკენ.

იმის მაგივრად, რომ დამნაშავეებს მიხედონ, ჩვენ გამოგვიგზავნეს ხალხი და რაღაცები შემოგვითვალეს.

***– ვინ გამოგიგზავნათ ხალხი?***

– შსს-მ.

***– საიდან იცით, რომ შსს-მ გამოაგზავნა ხალხი?***

– მათი საუბრებიდან ეს აშკარად ჩანდა.

***– ამ ხალხის ვინაობას არ დაასახელებთ?***

– ვინაობას არ დავასახელებ, ისინი ჩვენი მეგობრებიც არიან და შს მინისტრისაც.

***– რას ითხოვდნენ თქვენგან?***

– გვთხოვეს, რომ გახარიას თავი დავანებოთ. როცა ვკითხეთ, რატომ უნდა დავანებოთ თავი, გვითხრეს, დღედღეზე პრემიერი უნდა გახდესო. იმის მაგივრად, რომ კრიმინალებს ებრძოლოს, ტიპი თურმე პრემიერობისთვის ემზადება.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს ადამიანი დარწმუნებულია, რომ გაზაფხულზე პრემიერად მოგვევლინება. იგივე ამბიციები აქვს მამუკა ბახტაძესაც.

პრემიერობისთვის ბრძოლაში გახარიამ უკვე სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა. შსს-ს რეკლამირება დაიწყო და იმაზე გვესაუბრება, რამდენი დანაშაული გახსნა.

***– ამაში ცუდს რას ხედავთ?***

– იმას, რომ ეს არ არის სარეკლამო საგანი. დანაშაულის გახსნა შსს-ს პირდაპირი მოვალეობაა. ამ გახსნილი დანაშაულებით რომ იწონებს თავს, იმაზე რატომ არ საუბრობს, რამდენი დანაშაული არ გაიხსნა. ან არ რცხვენია, ახალგაზრდა კაცია და ლავრენტი ბერია მოსწონს.

***– რაში გამოიხატება, რომ ბერია მოსწონს?***

– თავად ამბობს, რომ ბერია მოსწონს. გაიძახის, ბერია ვარო. იმის მაგივრად, რომ კრიმინალს ებრძოლოს, გაათავხედა პოლიცია.

***– პოლიციის გათავხედება რაში გამოიხატება? ეს წლები სულ იმას ამბობენ, ასეთი დაჩმორებული პოლიცია არ გვყოლიაო.***

– მაგას ნაციონალები ამბობდნენ. გახარიას მოსვლამდე პოლიციის როლი დაკნინებული იყო. ამ კაცმა კი პოლიციას თავხედობის უფლება მისცა, ხან ვის უსწორდებიან ფიზიკურად, ხან ვის. ესეც არ იკმარა და თანამდებობებზე ნაციონალები დასვა.

***– ამის გამო გახარიას გაკრიტიკება უხერხულია – ნახევარი ხელისუფლება სულ ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.***

– მერე ეს კარგია? ამაზე ვიბრძვით მთელი ეს წლები, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. არ მესმის იმ ხალხის, ვინც გახარიასგან წესრიგის დამყარებას ელოდება. ტიპი თანამდებობაზე ფაქტიურად ჰაერიდან დაინიშნა.

მას წარმოდგენაც კი არა აქვს, რა არის შსს და ახლა პრემიერობაც მოინდომა. ასეთი გამოუცდელი ხალხი თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნოს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში კარგი იქნება, მაგრამ არა პრეზიდენტის ამპლუაში“

## ბიძინა გუჯაბიძე: „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი შეცდომა პრემია-დანამატებში გამოვლენილი მადაა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს კონსერვატიული პარტიიდან **ბიძინა გუჯაბიძეს**.

***– თქვენი აზრით, რამ განაპირობა ინფორმაციის გავრცელება ბიძინა ივანიშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვასთან დაკავშირებით? მმართველ პარტიას ცუდად აქვს საქმე?***

– საქართველოში, როგორც წესი, პოლიტიკიდან არავინ მიდის. ყოფილი აქტიური პოლიტიკოსები გარკვეული დოზით, აზრის გამოთქმის დონეზე ჩართული არიან ხოლმე პროცესებში. ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ პრემიერად ცოტა ხანს დარჩებოდა, შემდეგ გადადგებოდა და სამოქალაქო სექტორიდან გააკონტროლებდა ხელისუფლებას. იგი ამ ამოცანას ასრულებს. კარგი იქნებოდა, რომ ის აქტიურ პოლიტიკაში დარჩენილიყო. თავიდანვე მიმაჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ უნდა წასულიყო. არ ვიტყოდი, რომ მმართველ პარტიას ცუდად აქვს საქმე, თუმცა, გარკვეული შეცდომები ხელისუფლებამ დაუშვა. პრეზიდენტის ამპლუაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება გამართლებულად არ მიმაჩნია.

***– პრეზიდენტის უუფლებობის გამო?***

– პრეზიდენტს უფლებები უფრო შეეკვეცა. მას ხელისუფლების შტოებს შორის მედიატორის სიმბოლური ფუნქცია აქვს. ასეთ პოსტზე ბიძინა ივანიშვილი მოვლენებზე რადიკალურ გავლენას ვერ მოახდენს.

***– არსებობს მოსაზრება, რომ ჯობია, ის პრემიერად დაბრუნდეს.***

– ეს იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი. ბუნებრივია, ეს საკითხი პირადად მისი გადასაწყვეტია.

***– ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები თქვენც ახსენეთ. „ქართული ოცნების“ რეიტინგი სულ უფრო ეცემა.***

– განზრახ ამ ხელისუფლებას არაფერი დაუშავებია. ზოგ შემთხვევაში გამოუცდელობამ იჩინა თავი. შეცდომები იქნა დაშვებული საკადრო საკითხებში. აქ საკადრო დეფიციტის პრობლემაც დგას. სააკაშვილმა მიიზიდა კვალიფიციური სპეციალისტები. სააკაშვილის გარემოცვაში ყოფნამ მათ ავტორიტეტი გაუფუჭა. კვალიფიციური, გამოცდილი და წესიერი ადამიანების მოზიდვა „ქართულ ოცნებას“ ამა თუ იმ რგოლში გაუჭირდა. კიდევ ერთი შეცდომა პრემია-დანამატებში გამოვლენილი მადაა. წინა წლებში მოხელეებმა გადაჭარბებით აიღეს პრემია-დანამატები.

***– ეს პრაქტიკა ისევ გრძელდება.***

– მე ვსაუბრობ წინა წლებზე. დღევანდელი მონაცემები არ გამაჩნია.

***– პარლამენტის ახალმა სახეებმა ვერ შეცვალეს ვერაფერი?***

– საერთოდ, პარლამენტის თანამდებობის პირს, მით უმეტეს, რიგით დეპუტატს, ძალიან უჭირს რაიმე გარდატეხის შეტანა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ახალი სახეები აქტიურები არიან. შესაძლოა, მათ თავიანთ სფეროში რაიმე პოზიტიური ცვლილება მოახდინეს. ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელია პარლამენტისა და მთავრობის შეთანხმებული მუშაობა. წინა მოწვევის პარლამენტში და შემდგომაც, პრეზიდენტის მოქმედებები ხშირად სცილდებოდა პრაგმატულობის ჩარჩოებს. იგი ჯიბრში უდგებოდა პარლამენტს და ამის გამო ადებდა ვეტოს კანონებს.



***– პრეზიდენტის ბოლო ვეტო საზოგადოებრივ მაუწყებელს ეხება. საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის რეკლამის გაფართოების უფლებას საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილიც არ ეთანხმება.***

– ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობაში განხეთქილებაა. საერთოდ, კანონების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა, კამათი პროცესს მხოლოდ წაადგება. დეპუტატების ნაწილის მოსაზრება თუ დაემთხვა პრეზიდენტის შეფასებებს, ეს განხეთქილებას არ მოასწავებს. დემოკრატია სწორედ გადაწყვეტილებების კონსენსუსით მიღებას გულისხმობს.

***– დაბოლოს, ოპოზიციური ძალებიდან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ დავით უსუფაშვილი, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი. კენჭს იყრის ასევე გიორგი მარგველაშვილი.***

– დარწმუნებული ვარ, გამარჯვება მმართველი ძალის კანდიდატს დარჩება. ეს პოლიტიკოსები საპრეზიდენტო არჩევნებს გამოიყენებენ პოლიტიკური აქტიურობისთვის. შალვა ნათელაშვილი იხვეწება, ერთხელ მაინც მენდეთ და მართვის საჭე მანდეთო, მაგრამ ის ხომ ვერ გახდება პრეზიდენტი! ის ბოლო წლებში რუსთავი 2-სა და ნაციონალებს შეეკრა. დარწმუნებული ვარ, სხვა ოპოზიციონერი კანდიდატები არჩევნებზე მასზე კარგ შედეგს აჩვენებენ. მმართველი პარტიის კანდიდატისთვის წონიანი კანდიდატების ჩართვა საარჩევნო რბოლაში სასარგებლოა. კონკურენცია კარგია ქვეყნისთვის.

# მეუფე სტეფანე: „ბავშვების იზოლაცია არ არის ქრისტიანობა“



ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ სტეფანეს თქმით, რამდენჯერმე პირადად შეხვდა ამირან დევნოზაშვილს, რომელიც 8 შვილს სკოლაში არ ატარებს და საზოგადოებასთან კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევს.

როგორც მიტროპოლიტმა „ნეტგაზეთს“ განუცხადა, დარჩა შთაბეჭდილება, რომ მთელი ოჯახი ამირან დევნოზაშვილის ნებას ემორჩილება, თუმცა მისთვის უცნობია, როგორ ხდება ეს – ოჯახის დანარჩენი წევრების და ამირან დევნოზაშვილის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, თუ რაიმე სახის გავლენა არსებობს მათ ნებაზე.

მიტროპოლიტის თქმით, 1-2 წლის წინ ოჯახის დანარჩენი წევრებიც ნახა, თუმცა მათთან პირისპირ გასაუბრება ვერ მოახერხა, რადგან ამის საშუალება არ მიეცა:

– დალაპარაკებაც ვერ მოვახერხე ბავშვებთან. არ იძლეოდა საშუალებას, რომ ბავშვებს გავსაუბრებოდი. ის როგორც იტყვის, ყველა ისე იქცევა. ემორჩილებიან, თუმცა, რის ხარჯზე და როგორ, არ ვიცი. მე ზოგადად არ მომწონს მისი ფსიქიკური მდგომარეობა და ერთმანეთში დამოკიდებულება, თუმცა არ შემიძლია მის ცხოვრებაში შიგნით დავინახო რაღაცები, უბრალოდ, ჩემთვის ეს მიუღებელია, პირადად ვუთხარი, ყველაფერი გავაკეთე, – ამბობს „ნეტგაზეთთან“ საუბარში მიტროპოლიტი სტეფანე.

კითხვაზე, აძლევს თუ არა დევნოზაშვილი ცოლს სახლის დატოვების შესაძლებლობას, მიტროპოლიტი ამბობს, რომ ცოლთანაც ასეთივე დამოკიდებულება აქვს:

– სხვას არ აქვს უფლება რაიმე ილაპარაკოს, ის საუბრობს, იმპერატიული დამოკიდებულება აქვს. შინაგანი რწმენით რომ იყოს ასე და ძალადობის გარეშე აკეთებდნენ ისე, როგორც მას უნდა, ამის ასპროცენტიანი გარანტია არ არის. შიგნით რა ხდება, არ ვიცი. საკუთარი რწმენით აკეთებენ ამას თუ რაიმე გავლენით, შეიძლება ბევრი პრობლემა იყოს, – უთხრა მიტროპოლიტმა „ნეტგაზეთს“.

მიტროპოლიტ სტეფანეს თქმით, როგორც ამირან დევნოზაშვილმა მას განუმარტა, ის მართლმადიდებელი წმინდანის, ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით მოქმედებს, თუმცა, მიტროპოლიტის თქმით, დევნოზაშვილი ეპისკოპოსის სწავლებებს არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს:

– ის ეკლესიურად ნამდვილად არ მოქმედებს. ბავშვების იზოლაცია არ არის ქრისტიანობა. ავუხსენი ეს ყველაფერი, ბრიანჩანინოვმა როგორც მითხრა, ისე ვმოქმედებო, ეგნატე ბრიანჩანინოვი არის წმინდანი, საერთოდ, ტყუილად ლაპარაკობს ამას, რადგან ბრიანჩანინოვს ასეთი რამ არსად არ უწერია, რომ ბავშვები უნდა გამოკეტონ. ის ზოგადად ყველას აფრთხილებს, ისეთი დრო დადგება, როდესაც რთული იქნება ქრისტიანობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებისგან გარიყული იყო, – უთხრა მიტროპოლიტმა „ნეტგაზეთს“.

როგორც მიტროპოლიტი სტეფანე „ნეტგაზეთთან“ საუბრისას ამბობს, საკითხს ყურადღება სჭირდება:

– მე ვერაფერს გავხდი. როდესაც დაკეტილი აქვს კარი ადამიანს, რაც გინდა უთხარი, ის მაინც თავისას აკეთებს. შემდეგ დავანებე თავი, მე ვეცადე რაღაცებს, რამდენჯერმე შევეცადე, მაგრამ აზრი არ ჰქონდა. ის, რომ ბავშვები წაერთმიათ, ჩემი ლოცვა-კურთხევა ამ მიმართულებით არ იყო, ეს რთული საკითხია. ღმერთმა გაუხსნას აზრი და გააგებინოს, სწორი გზა როგორაა, თუმცა ყურადღება სჭირდება იმ ბავშვებს. კარგი იქნება, საუბრის შესაძლებლობა თუ იქნება, გარკვეული ფსიქოლოგიური განტვირთვა რომ ჰქონდეთ ბავშვებს. მეც სიამოვნებით ვიმუშავებ ამ ბავშვებთან პერიოდულად, – ამბობს მიტროპოლიტი.

შს მინისტრის მოადგილემ, ნათია მეზვრიშვილმა მედიასთან განცხადება გააკეთა ლენტეხის მუნიციპალიტეტში სავარაუდო შინაპატიმრობაში მყოფ დევნოზაშვილების ოჯახის რვა შვილთან დაკავშირებით. მისი თქმით, გამოძიება გაარკვევს, არიან თუ არა მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვები შინაპატიმრობაში.

რვა არასრულწლოვანს თითქმის ათი წელია შეზღუდული აქვს გადაადგილების, სკოლაში სიარულის და სხვა უფლებები. ამის თაობაზე განცხადება 29 იანვარს, სოციალური მომსახურების სააგენტომაც გააკეთა.

**ნეტგაზეთი**

# სადავო მშენებლობა – ვინ რისთვის იბრძვის ატენის ქუჩაზე?

თბილისში, ატენის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობის მომხრეები და მოწინააღმდეგეები 29 იანვარს სახალხო დამცველის ოფისთან შეიკრიბნენ. მშენებარე კორპუსთან ახლოს მცხოვრებთა ნაწილი ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებს იმ საფრთხის შესახებ ესაუბრა, რასაც, მათი თქმით, არსებული პროექტი ქუჩასა და ავარიულ სახლებს უქმნის. მშენებლობაზე პასუხისმგებელი ამხანაგობის წარმომადგენლები კი მეორე მხარეს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ.

ატენის ქუჩის მცხოვრებთა ნაწილი, რომლებიც სახალხო დამცველის ოფისთან ტრანსპარანტებით მივიდნენ, მშენებლობის შეჩერებას მოითხოვდნენ. მათი მტკიცებით, მშენებლობა ისედაც ვიწრო ქუჩას დამატებით პრობლემებს შეუქმნის და რისკის ქვეშ დადგებიან ადამიანები, რომლებიც იქვე მდებარე ავარიულ სახლებში ცხოვრობენ.

აქციის მონაწილეთა თქმით, დროთა განმავლობაში მშენებლობის პროექტი შეიცვალა და თუ თავდაპირველად 11-სართულიანი კორპუსი უნდა აშენებულიყო, შემდგომ სართულების რაოდენობა 27-მდე გაიზარდა.

– ყველა სამართლებრივ მეთოდს მივმართავთ, სახალხო დამცველის ოფისთან მოსვლისა და განაცხადის შეტანის ჩათვლით, რომ ეს პროცესი არ გავიდეს სამართლებრივი სფეროს გარეთ. ვცდილობთ, სამართლებრივი ფორმით მივაღწიოთ იმას, რომ გადაიხედოს უკანონოდ, დარღვევებით შედგენილი პროექტი და არ აშენდეს 27-სართულიანი მონსტრი 2 მეტრი სიგანის ქუჩაზე, – აღნიშნა მსახიობმა ეკატერინე ანდრონიკაშვილმა, რომელიც მშენებარე კორპუსთან ახლოს ცხოვრობს.

მეზობლების მოთხოვნებს არ იზიარებენ კორპუსის მშენებლობაზე პასუხისმგებელი „ამხანაგობა 19“-ის წევრები. როგორც ისინი ამბობენ, კორპუსი 30-მდე ოჯახის დასაკმაყოფილებლად შენდება, რომელთა სახლებიც 2007 წელს დაანგრიეს. თუმცა, მათივე თქმით, მშენებლობის დაწყებიდან 1 წლის შემდეგ მშენებელმა კომპანიამ პროცესის გაგრძელებაზე უარი თქვა და მხოლოდ 4 წლის შემდეგ ზემოაღნიშნულმა ამხანაგობამ საკუთარი სახსრებით განაახლა.

ამხანაგობის წარმომადგენელთა მტკიცებით, კორპუსი არა 27, არამედ 22-სართულიანია, 5 სართული კი მიწის ქვეშ მდებარეობს და ავტომობილების პარკინგისთვისაა გამოყოფილი. რაც შეეხება მშენებლობის მოწინააღმდეგეთა არგუმენტს თავდაპირველი პროექტის შეცვლის შესახებ: ამხანაგობაში ამბობენ, რომ იძულებული გახდნენ, სართულების რაოდენობის გაზრდა მოეთხოვათ, რათა მშენებლობისთვის აღებული კრედიტი სრულად დაეფარათ:



– დავიწყეთ ამხანაგობის ფარგლებში თანხების მოძიება, კერძოდ, ავიღეთ საბანკო კრედიტი, რომელიც თავისთავად პროცენტიანია. იმისთვის, რომ შეგვესრულებინა ჩვენი ვალდებულებები, დათვლის შედეგად მოვითხოვეთ ის კოეფიციენტი, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას, რომ აგვეშენებინა კორპუსი და ვალდებულებები ბანკის წინაშე ყოფილიყო გასწორებული. სწორედ ეს იყო ჩვენი მიზანი, როცა მოვითხოვეთ კოეფიციენტის გაზრდა, – განუცხადა მედიას ამხანაგობის წევრმა გიორგი ასათიანმა.

ამჟამად მიწის ზემოთ კორპუსის 18 სართულია აშენებული.

საკითხის კომენტირებისას თბილისის მერმა კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობის პირობებში კორპუსის მშენებლობის ნებართვას არ გასცემდა, თუმცა არსებული მოცემულობით სხვა გზა არ არსებობდა.

– სასამართლო გადაწყვეტილებები არსებობს ამ პროექტთან დაკავშირებით, ამიტომ მე ძალიან გამიჭირდება რაიმეს შეცვლა. მე მაშინაც განვაცხადე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: პროცესი რომ თავიდან იწყებოდეს და ჩვენი, მერიის გადასაწყვეტი იყოს, როგორი პროექტი უნდა განხორციელდეს, ამ ტიპის, ამ დატვირთვით და ამხელა სართულიანი პროექტი არ განხორციელდებოდა, – აღნიშნა კალაძემ.

სადავო მშენებლობის საკითხი 2011 წლის შემდეგ (მას შემდეგ, რაც პროექტში სართულების რაოდენობა გაიზარდა) როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა განიხილეს. მხარეებს შორის თანხმობა არც საბოლოო ინსტანციის გადაწყვეტილების შინაარსზე არსებობს: ამხანაგობის ადვოკატის, ლაშა უფლისაშვილის თქმით, სასამართლოს ნებართვა ბათილად არ უცნია და მხოლოდ მერიას დაუბრუნა განსახილველად. მშენებლობის მოწინააღმდეგეთა იურისტი დიმიტრი გაბუნია კი აცხადებს, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ცალსახადაა საუბარი მშენებლობის დაუშვებლობაზე.

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ატენის ქუჩის მოსახლეობას პირადად არ შეხვედრია, თუმცა მედიას განუცხადა, რომ ომბუდსმენის აპარატი საკითხს შეისწავლის:

– 2017 წელს სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია მუნიციპალიტეტზე, რომ ის გადაწყვეტილება, რომლითაც მშენებლობის ნებართვა იქნა გაცემული, იყო დაუსაბუთებელი და რეკომენდაცია მიმართული იყო იქით, რომ დასაბუთებულიყო, რის საფუძველზე გაიზარდა კოეფიციენტი და გაიცა ნებართვა მშენებლობაზე. დღეს შემოტანილ იქნა განცხადება სახალხო დამცველის სახელზე და ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილავთ, რა ნაბიჯები გადადგა მუნიციპალიტეტმა.

კორპუსის მშენებლობის მოწინააღმდეგეები რამდენიმე დღეში პროკურატურაში მერიის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას გეგმავენ. მათი ადვოკატის თქმით, სწორედ ამ დროს გაასაჯაროებენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას მშენებლობის დაუშვებლობის შესახებ.

**ნეტგაზეთი**

# ბაღის მასწავლებლის ხელფასი კვალიფიკაციით განისაზღვრება



ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი კახა გვანცელაძე ამბობს, რომ ბაღის მასწავლებლებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავდება და მათი ხელფასის ზრდაც ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იქნება მიბმული.

მისივე თქმით, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ბაღების სააგენტო სტრატეგიას შეიმუშავებს, შემდეგ კი ამ სტრატეგიას საკრებულო დაამტკიცებს. ამისთვის სააგენტოს წელიწადნახევარი აქვს გათვალისწინებული.

– როგორც კი მოვედი, ეგრევე განვაცხადე და თქვენც მინდა გაგაცნოთ გეგმა – ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ ხელფასის საკითხი, თუმცა მას შემდგომ, რაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შევიმუშავებთ და ამ კვალიფიკაციას უნდა მიჰყვეს ხელფასების ზრდა. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში შეფასება უნდა მოხდეს და არა ტესტირება ან გამოცდა. შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტია, რომ ადამიანის კვალიფიკაცია შეფასდეს. მე ვფიქრობ, რომ ეს სტრესული არ უნდა იყოს. თავისთავად შეფასების ფორმატები სხვადასხვაა და არასტრესულ ინსტრუმენტს გამოვიყენებთ ამ შემთხვევაში, – განაცხადა გვანცელაძემ 29 იანვარს საკრებულოში, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციასთან გამართულ შეხვედრაზე.

გვანცელაძის აზრით, მასწავლებლების ხელფასი თანაბარი არ უნდა იყოს და ხელფასის რანჟირება სერტიფიცირებით უნდა მოხდეს:

– მნიშვნელოვანია, რომ არ იყოს თანაბარი ანაზღაურება იმიტომ, რომ ზოგიერთ მასწავლებელს აქვს უმაღლესი კვალიფიკაცია, ზოგიერთ მასწავლებელს აქვს შედარებით განსხვავებული კვალიფიკაცია. ამიტომ ხელფასების რანჟირება უნდა მოხდეს და ალბათ, ეს არის სერტიფიცირების საკითხი. ამ ეტაპზე ამას სკოლებში ახორციელებს სამინისტრო. ანალოგიური ტიპის ქმედებები ჩვენც უნდა განვახორციელოთ ბაღებში, რაც არის არსებითი და მნიშვნელოვანი, – ამბობს გვანცელაძე.

თბილისის საკრებულოში გამართულ სხდომაზე თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი კახა გვანცელაძე და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრები კითხვა-პასუხის რეჟიმში კამათობდნენ. გვანცელაძეს შეკითხვები დაუსვეს ბაღებში არსებულ ნეპოტიზმზეც, რაზეც მან განაცხადა, რომ კონკრეტული ადამიანების მიღების საკითხით დაინტერესდება. კამათის საგანს წარმოადგენდა ბაღში ბავშვების კვებაც, საკრებულოს წევრები აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ დღიური კალორაჟი შემცირდა და მშობლები უკმაყოფილონი არიან, გვანცელაძე კი მათ უფრო გაფართოებულ შეხვედრას სთავაზობდა, სადაც ნუტრიციოლოგი, ჯანდაცვის სამინისტროს და „იუნისეფის“ წარმომადგენელი დაესწრებიან. მხარეები შეხვედრაზე შეთანხმდნენ. კამათის საგანს ასევე წარმოადგენდა გვანცელაძის ანაზღაურება და ბაღებში გადასახადის დაწესების საკითხიც, რაზეც მან განაცხადა, რომ გადასახადის დაწესების საკითხის შესახებ მსჯელობაზე ის უშუალოდ ჩართული არაა.

**ნეტგაზეთი**

## მამუკა ბახტაძე თუ გიორგი გახარია ვის სასარგებლოდ გააკეთებს ივანიშვილი არჩევანს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– გამოცდილება არც ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა, მაგრამ ის ჯერ შს მინისტრად დაინიშნა, შემდეგ – მთავრობის მეთაურად.***

– ღარიბაშვილის შემთხვევა სულ სხვანაირი იყო. მას გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ გარშემო გამოცდილი ხალხი ჰყავდა. მათ შორის მისი სიმამრი. გახარიამ კი რა ქნა – შსს ნაციონალებით აავსო.

***– საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ შსს ისედაც სავსე იყო ნაციონალებით.***

– ამან კიდევ დაამატა და არ გამიკვირდება, ერთ დღეს ვანო მერაბიშვილს თუ დანიშნავს თავის მრჩევლად.

ძალიან მაინტერესებს, როგორ იპოვა ივანიშვილმა ეს კაცი. მისი წარსული, ცოტა არ იყოს, მაფიქრებს. მან რუსეთში იშოვა სერიოზული ფული. იქ ეფესბესთან თუ არ ხარ შეკრული, ფულს ვერ იშოვი.

***– ბევრ ქართველს აქვს რუსეთში ფული ნაშოვნი, მათ შორის ივანიშვილსაც.***

– გასაგებია. რუსეთი ისეთი ქვეყანაა, რომ თუ სპეცსამსახურები არ გკრიშავენ, ფულს ვერ იშოვი. ყოფილიყო ეს გახარია ისევ ეკონომიკის მინისტრი ან ბიზნესომბუდსმენი. შს მინისტრად მისი მოყვანა შეცდომა იყო. მისი გაპრემიერება მთლად კატასტროფა იქნება. ჯერ ახლა რა დღეშია და მერე რას იზამს.

# „მარიხუანაც სერიოზულად მოქმედებს ადამიანზე. ადვოკატი ვარ და მაგის მეტი რა მინახავს?!“

## ლალი აფციაური: „ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარების წინააღმდეგი ვარ“

ნონა ცაბაძე

ბოლო დროს გახშირდა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები. „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **ლალი აფციაური** პასუხობს.

***– ქალბატონო ლალი, ქალაქში არსებობს 14 წლის მოზარდებისგან შემდგარი ჯგუფები, რომლებიც ძარცვავენ მაღაზიებს, აფთიაქებს, ოფისებს. ბოლო პერიოდში 50-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული. კანონი მოზარდებს არ სჯის და ვინ შეიძლება იდგეს ამ ბავშვების უკან?***

– არ არის გამორიცხული, რომ სრულწლოვანი, რომელსაც თავად სასჯელის ეშინია, ბავშვებს იყენებდეს საამისოდ. თუმცა, კონკრეტული დაკავების შემთხვევაში, არის გარკვეული მსუბუქი სასჯელები არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, როგორ დავსაჯოთ?! ან როგორ მოვახვედროთ ციხეში. მთავარი ის არის, რომ სახელმწიფომ იზრუნოს, როგორ არ მოხვდნენ ეს ბავშვები ქუჩაში და როგორ არ ჩაიდინონ დანაშაული.

***– ამისთვის რა არის საჭირო?***

– სოციალური სამსახურების მიერ, რომლებიც აღრიცხავენ ქუჩაში გამოსულ ე.წ. უპატრონო ბავშვებს, უნდა განხორციელდეს ამ ბავშვებზე ზედამხედველობა და მიიღონ ის ზომები, რაც ცივილურ სამყაროშია მიღებული.

***– ამ კუთხით სახელმწიფო არაფერს აკეთებს?***

– რამე რომ კეთდებოდეს, ამდენი მაწანწალა ბავშვი ქუჩაში არ იქნებოდა. ყოველდღიურად ვხედავ ქუჩაში სამათხოვროდ გამოსული ბავშვების საკმაოდ დიდ რაოდენობას. სახელმწიფომ უნდა აიღოს მათზე მზრუნველობა.

***– კანონში თუ შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა?***

– არა, ამ კუთხით ვერაფერი შეიცვლება. ვინ შეიძლება მომხრე გახდეს იმისა, რომ კანონში რაიმე ცვლილება შევიდეს გამკაცრების კუთხით? გამკაცრებაზე ფიქრს ურჩევნიათ, სხვა თემაზე იმუშაონ და ყურადღება მიაქციონ ამ ბავშვებს. ან მათ დასაქმებაზე იზრუნონ, ან სწავლაზე. გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება თუკი ამას მოინდომებენ.

***– ზოგადად კრიმინოგენური ფონის გაუარესების შესახებ რას იტყვით? ოპოზიციისგან გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში კრიმინალმა იმატა. რას იტყვით თქვენ?***

– დანაშაული ნებისმიერ სახელმწიფოში ხდება და იმაზე უარესიც, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ოპოზიცია რომ ამბობს იმატა, რასთან აკეთებს შედარებას?! სწორედ მათი განცხადებები მაღიზიანებს. როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში, თუ იმ დროს ადარებენ, იმ პერიოდთან შედარებით იმატა?! იმ დროს 300 ათასი პრობაციონერი გვყავდა და 40 ათასი პატიმარი. როგორ იმატა და სად იმატა?! მათი მმართველობის პერიოდში მსგავსი ტიპის დანაშაულებები არ შუქდებოდა. ნაკლებად მიუწვდებოდა ჟურნალისტს ხელი მსგავს ინფორმაციაზე. დღეს ყველაფერზე ხელი მიგიწვდებათ და ყველაფერი შუქდება. უნდა გაშუქდეს, ეს ძალიან კარგია, რომ შუქდება. უბრალოდ, გამაღიზიანებელი ის არის, ამაზე ვინ ლაპარაკობს. მათ დროს ხომ, რას ამბობ, ქვეყანაში დანაშაული საერთოდ არ ხდებოდა!



***– რისი თქმა გინდათ, რომ დღეს მეტად შუქდება და ამიტომ ჩანს, რომ იმატა? დანაშაული რომ ყოველდღე ხდება?***

– გეთანხმებით, სამწუხაროდ, ნამდვილად არ არის სასურველი მდგომარეობა. ძირითადად ეს ყაჩაღობები, ქურდობები სოციალური ფონიდან არის გამომდინარე. მე თუ ელემენტარული პირობები მაქვს, რომ ჩემი ოჯახის წევრებს საარსებო წყარო მივაწოდო, მაშინ რატომ მოვიპარავ?! სოციალური მდგომარეობა არის უმძიმესი, კაბინეტებიდან ძნელია ამის დანახვა, მაგრამ ჩვენ, ვისაც გვიწევს ყოველდღიურ რეჟიმში მოქალაქეებთან შეხვედრა და გადაადგილება რეგიონებში, კარგად ვხედავთ, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი უმძიმესია!

***– ბოლო პერიოდია, სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა ჩვენი ქვეყნის ნარკოპოლიტიკა. საზოგადოების ერთი ნაწილი აქტიურად მოითხოვს მის ლიბერალიზაციას. ამ კუთხით როგორია თქვენი შეფასებები?***

– მიუხედავად იმისა, რომ წლებია, გავყვირი, რომ კანონი ამ კუთხით არის მკაცრი და ბევრი რამ არის შესაცვლელი, არც ასეთი ლიბერალიზაციის მომხრე ვარ. თუმცა მანამდე ვიტყვი იმასაც, რომ კანონი არის აბსოლუტურად შეუსაბამო გაეროს კონვენციებთან.

რომ გადაშლით კანონს, იქ პირდაპირ წერია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ნარკოპოლიტიკის კუთხით ეფუძნება გაეროს კონვენციებს. არის ორი კონვენცია: ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ და ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ. ცალ-ცალკე ორი დამოუკიდებელი კონვენციაა. საქართველოს კანონმდებლობაში კი ეს კონვენციები გადმოტანილია ისე, რომ მისი წაკითხვის სურვილიც არ გაგიჩნდებათ.

***– რას გულისხმობთ?***

– ფსიქოტროპული ნივთიერებები, თუნდაც იგივე ბუპრენორფინი, რაზეც ამხელა ხმაური ატყდა, ბახალას საქმეს ვგულისხმობ, არის ფსიქოტროპულ ნივთიერებათა სიაში, გაეროს 1971 წლის კონვენციაში. ამის ნარკოტიკებში გადმოტანის უფლება არავის აქვს! იმდენად მარტივ ენაზე წერია ორივე კონვენციაში ყველაფერი, რომ არ სჭირდება ამას იურისტობა და ღრმა კვალიფიკაცია. ამათ კი ამოღებული აქვთ ფსიქოტროპული ნივთიერებების სიიდან და გადმოგდებული აქვთ ნარკოტიკების სიაში. ამის გაკეთების უფლება არავის აქვს.

ექსპერტები პირდაპირ დანაშაულს სჩადიან, რომლებიც წერენ საექსპერტო დასკვნაში, რომ ბუპრენორფინი არის ნარკოტიკი! ექსპერტებს არა აქვთ ამის უფლება. მათ შეუძლიათ ჩაწერონ დასკვნაში, რომ ეს არის ნივთიერება ბუპრენორფინი, ხოლო სამართლებრივი შეფასება მისცეს ბრალდების მხარემ და სასამართლომ. ნარკოპოლიტიკას რომ გაჰყვირიან, ჯერ იმაზე იფიქრონ, რომ კანონში დაშვებული ხარვეზები გაასწორონ.

***– ზოგადად რამდენად მკაცრია სასჯელი?***

– სასჯელი მკაცრია. მე ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობ გამსაღებლების ნაწილში, სადაც დადასტურებულია, რომ ახდენენ რეალიზაციას. აქ მკაცრი უნდა იყოს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, დაიშვას თავისუფლად მოხმარება, ისე, როგორც ამას აქტივისტები გაჰყვირიან.

***– არც მარიხუანის?***

– არც მისი. მარიხუანაც საკმაოდ სერიოზულად მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. მე ადვოკატი ვარ და მაგის მეტი რა მინახავს?! მინახავს ადამიანები, რომლებიც წლები ეწეოდნენ ამ მარიხუანას და მძიმე შედეგები ჰქონდათ. ამის ასე დაშვება, ასე თავისუფლად მიშვება ნიშნავს იმას, რომ გენოფონდი გავანადგუროთ! თუ ეს დაუშვეს, ნახავთ, რა მწარე შედეგები იქნება.

***– ანუ ლიბერალიზაცია მოხმარებას არ შეამცირებს?***

– სად შემცირდა ნარკოტიკების მოხმარება ამის დაშვებით, რომელი ქვეყნის სტატისტიკა ნახეს?! დადონ დოკუმენტები. ეს რომ კარგი იყოს და ეს რომ არ მოქმედებდეს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, თავიდანვე არ იქნებოდა შეზღუდვები და აკრძალვები. ეს გაეროს კონვენციებში და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დასკვნაშია ასახული.

ძალიან ცუდი პროპაგანდა მიმდინარეობს, საქმე ისე მიდის, რომ, მე მგონი, ვენახს აჩეხავენ და პლანს დათესავენ, აი, ასეთი მდგომარეობა გვაქვს. კატეგორიულად დაუშვებელია ამის ასე გამარტივება. ხშირად ვფიქრობ, რომ გამოდის ეს 200-300 კაცი, ვინც ამის მომხრეა, კარგია თუ ამის მეტი მომხრე არ ჰყავს. ერთი ჩვენც გავიდეთ და ვთქვათ ჩვენი სიტყვა, ვინც ამას ვეწინააღმდეგებით და ვინც მომავალ თაობაზე ვფიქრობთ. ასეთები გაცილებით მეტნი ვართ. გავიდეთ და ჩვენც შევიკრიბოთ. რა, ამ 300 კაცის მოთხოვნით უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?! თუნდაც 3 ათასნი იყვნენ, საკითხი, რომელიც არაერთი ჩვენი ახალგაზრდის ცენტრალურ ნერვულ სისტემას დაანგრევს?! და ეს უნდა გახდეს თავისუფალი?! ასე მარტივად არ არის საქმე, მაგათ რომ ჰგონიათ!

# „ოლიგოპოლია შესაძლოა გაჩნდეს, მაგრამ მომხმარებლისთვის საზიანო არ იქნება“




– „სილქნეტის“ მიერ „ჯეოსელის“ შესყიდვისას ადგილი არ ექნება მონოპოლიას, რადგან „მაგთიკომი“ უკვე ფლობს ასეთ ქსელს. შესაძლოა გაჩნდეს ოლიგოპოლიური სიტუაცია, თუმცა ეს არ არის ცუდი, – აცხადებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბაზრის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით გოგიჩაიშვილი.

როგორც ცნობილია, „სილქნეტსა“ და „ჯეოსელს“ შორის 153 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გარიგება შედგა. დაფინანსება „თიბისი ბანკის“ მიერ ორგანიზებული ქართული და რეგიონული ბანკების სესხითა და „სილქნეტის“ საკუთარი კაპიტალით მოხდება.

მხარეებმა გარიგების დეტალების შესახებ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. როგორც პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ქვეყანაში უმსხვილესი ფიქსირებული ოპერატორი „სილქნეტისა“ და მობილური ოპერატორი „ჯეოსელის“ გაერთიანებით, საქართველოში იქმნება სრულმასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო კომპანია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, აღნიშნული გარიგების შედეგად, ბაზარზე ოლიგოპოლია გაჩნდება თუ არა, დავით გოგიჩაიშვილი პასუხობს, რომ მოსალოდნელი ოლიგოპოლია მომხმარებლისთვის საზიანო არ იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაშიც შესაძლებელია კლიენტმა სარგებელი მომწოდებლებისგან მიიღოს.

– ოლიგოპოლია არ არის ცუდი ბაზრისთვის, რადგან ხდება შეჯიბრება („მაგთისთან“ მიმართებაში, რომელმაც, როგორც ცნობილია, „კავკასუს ონლაინი“ შეიძინა) ფასებსა და მოცულობაში. ამ გზით კი შესაძლებელია კონკურენცია მივიღოთ. შეიძლება მათ გარკვეული შეთანხმება მოახდინონ ტარიფებთან დაკავშირებით, თუმცა, ეს შეეძლოთ მანამდეც გაეკეთებინათ, ამიტომ ამ ტრანზაქციაზე ამას გავლენა ნამდვილად არ აქვს, – აცხადებს გოგიჩაიშვილი.

„სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბაზარზე ორი მსხვილი კომპანიის არსებობა შექმნის ისეთ ოლიგოპოლიურ გარემოს, რომ ეს უარყოფითად აისახება მომხმარებელზე. მისი თქმით, რადგანაც მოხდა პრეცედენტი, რომ „მაგთიკომმა“ შეიძინა „კავკასუსი“ და „დელტა“, ამის საპასუხოდ კი „სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ შერწყმით ბაზარზე ბალანსი დამყარდა.

– პარალელურად არის მესამე მობილური კომპანიაც ბაზარზე, რომელიც ძალიან დაბალ ფასებს სთავაზობს აბონენტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადად ფასებს ვერავინ ვერ გაზრდის. ნამდვილად არ იქნება ისეთი ფასების ზრდა, რომ აბონენტისთვის ეს პრობლემა გახდეს. გარდა ამისა, არსებობს 140 საკაბელო ტელევიზიაც, ამიტომ საქართველოში სწორი თამაშების წესები იქნება და მარეგულირებელი ამ ყველაფერს ყურადღებას მიაქცევს, – აცხადებს რამიშვილი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, შესყიდვის დასრულება 2018 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი.

# „ფიზიკურ პირებს ფულადი გზავნილების განსახორციელებლად რეგისტრაციის ვალდებულება არ ექნებათ“



– ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების საგადახდო მომსახურების პროვაიდერებად რეგისტრაციის ვალდებულება ფიზიკურ პირებს არ ექნებათ, – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მურთაზ კიკორიამ განაცხადა.

– დაზუსტებისთვის, განვმარტავთ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ეხება მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში უკვე რეგისტრირებულ იმ ინდმეწარმეებს და იურიდიულ პირებს, რომლებსაც კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვთ ფულადი გზავნილების მომსახურების უფლებამოსილება. აღნიშნული ცვლილება არ ეხებათ უშუალოდ მომხმარებლებს, რომლებიც ახორციელებენ ფულადი გზავნილების მიღებას ან გაგზავნას, – განაცხადა მურთაზ კიკორიამ.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2017 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაუქმდა ფულადი გზავნილების ცნება და ყველა სუბიექტი ვალდებული იქნება 6 თვის ვადაში, 2018 წლის 12 ივლისამდე ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერად დარეგისტრირდეს ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან (მათ შორის, კომერციულ ბანკთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან) საგადახდო მომსახურების აგენტის ხელშეკრულება გააფორმოს.

# „ტვირთმფლობელს მეტი არჩევანის საშუალება ექნება“

– რაც მეტი ღრმაწყლოვანი პორტი იარსებებს, მეტად ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნება, – ამის შესახებ ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმის ხელმძღვანელმა თამაზ ჩხიკვიშვილმა. „TV პირველის“ გადაცემაში „საქმის კურსი“ ისაუბრა.



მისი ინფორმაციით, ფოთის პორტში ღრმაწყლოვანი პორტის აშენება დროული გადაწყვეტილებაა. ახალი ტერმინალების აშენების შემდეგ კი შესაძლოა, ბაზარზე სხვა მოთამაშეებიც გაჩნდნენ და ეს ჯანსაღი კონკურენცია იქნება.

– რაც მეტი ღრმაწყლოვანი პორტი იქნება, უკეთესია. ტვირთმფლობელს მეტი არჩევანის საშუალება ექნება, სად გაატაროს ტვირთი და როგორი ფასები მიიღოს. მივესალმები ჯანსაღ კონკურენციას და აქვე აღვნიშნავ, რომ ყველას თავისი სამიზნე სეგმენტი ჰყავს. განსხვავებულია განვითარების ბაზებიც და ზოგადად ბაზარი. პირადად ჩვენი სეგმენტი უკვე დიდი ხანია შერჩეულია, – აცხადებს თამაზ ჩხიკვიშვილი.

რაც შეეხება ტერმინალის გეოგრაფიულ მდებარეობას, როგორც „ფოთის ახალი კონსორციუმის“ ხელმძღვანელი განმარტავს, ადგილმდებარეობად ფოთი შეირჩა, რადგან ამ შემთხვევაში ბიზნესის გაფართოებისთვის მეტი თავისუფალი მიწებია. განვითარებულია ინფრასტრუქტურაც და შესწავლილია როგორც ტალღების ქცევა, ფსკერი, ასევე სანაპირო ზოლი. ეს ფაქტი კი ამცირებს იმ რისკებს, რაც შესაძლოა ფოთის გარდა, სხვა ვარიანტების განხილვის დროს დამდგარიყო.

ცნობილია, რომ საქართველოში კიდევ ერთი ღრმაწყლოვანი პორტი აშენდება და მას „ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმი“ ააშენებს. როგორც ირკვევა, პირველ გემს პორტი 2020 წელს მიიღებს, ინვესტიციების მოცულობა კი ამ ეტაპზე 100 მილიონ დოლარზე მეტია.

# „სინოჰიდროს“ საქმეზე საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანგარიშს ერთ კვირაში დადებს



ჩინურ კომპანია „სინოჰიდროსთან“ დაკავშირებით საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე „კომერსანტთან“ პირველ კომენტარს აკეთებს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, აფრიკის განვითარების ბანკმა ჩინური კომპანია „სინოჰიდრო“ თაღლითურ გარიგებებში ამხილა და „შავ სიაში“ შეიყვანა.

„სინოჰიდრო“ საქართველოში ამჟამად ცენტრალური ავტომაგისტრალის ერთ-ერთი მსხვილი მშენებელია. ჩინურ კომპანიას რამდენიმე დიდი ტენდერი აქვს მოგებული და ავტომაგისტრალის მნიშვნელოვანი მონაკვეთებიც ააშენა. კონკრეტულად კი, „სინოჰიდრო“ სამტრედია-გრიგოლეთის შემოვლით გზას, ქობულეთის შემოვლით და ოსიაური– ჩუმათელეთის გზებს აშენებს. მთლიანობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანია საქართველოში მილიარდ ლარამდე ღირებულების პროექტებს ახორციელებს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, არსებული ვითარების შემდეგ როგორ გაგრძელდება საქართველოში ჩინური კომპანია „სინოჰიდროს“ მიერ დაწყებული პროექტები და თავდაპირველად, რატომ და რა კრიტერიუმით შეარჩია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა რამდენიმე ქვეყანაში კორუფციასა და თაღლითობაში მხილებული კომპანია მთავარ კონტრაქტორად?

სეთურიძის განცხადებით, ჩინური კომპანია „სინოჰიდრო“ უკვე 8 წელია საქართველოში ოპერირებს და ის სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. მათ შორის, რუსთავის მიმართულებით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, ასევე ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა (I-II ლოტები), გრიგოლეთის გზის მშენებლობა II ლოტი და ზემო-ოსიაური–ჩუმათელეთის გზის მშენებლობის I ლოტი.

მისი განცხადებით, კომპანია „სინოჰიდრო“ ერთ-ერთი დიდი კომპანიაა ჩინეთში და მას ძალიან ბევრი შვილობილი კომპანიები გააჩნია. კონკრეტულად, რომელი მათგანი იყო მოხსენიებული იმ ანგარიშში, ამ დროისთვის დაუზუსტებელია. როგორც სეთურიძე განმარტავს, დღეს რაც „სინოჰიდროზე“ გაჟღერდა, არ შეიძლება ვიწრო წრეში იქნას განხილული.

– ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, შევისწავლით, ამაზე გარკვეული ანგარიშიც მომზადდება, რათა ჩვენი და ჩვენი კოლეგა ორგანიზაციების შესყიდვების ჯგუფები ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას გაეცნონ და მომავალში შერჩევა-შეფასების ეტაპებზე გამოიყენონ, – აცხადებს სეთურიძე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ „სინოჰიდროსთან“ კონტრაქტები 2017 წელს გაფორმდა, დანარჩენი მინიმუმ 2-3 წლის წინანდელი კონტრაქტებია, გამომდინარე აქედან, სეთურიძე აცხადებს, რომ ამ ფაქტზე მათთვის ცნობილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

სეთურიძის განცხადებით, ჩინური „სინოჰიდრო“ სხვადასხვა კომპანიაში სხვადასხვა შვილობილი კომპანიითაა წარმოდგენილი. მისი ინფორმაციით, სომხეთში კომპანიას პრობლემები აქვს და ეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის ცნობილია.

– რაც შეეხება საქართველოში განხორციელებულ პროექტებს, ამ ეტაპზე საქართველოს „სინოჰიდროსთან“ კონტრაქტები აქვს. თუ არსებობს პრობლემები, ისინი კონტრაქტის მიხედვით და უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრება ხოლმე. მათზე ზედამხედველობას კი უცხოური კომპანია ახორციელებს. საბოლოოდ, პროექტი აუცილებლად შესაბამისობაში იქნება იმ სტანდარტებთან, რაც მოთხოვნილია, – განმარტავს სეთურიძე.

კითხვაზე, როდესაც კომპანია „სინოჰიდროსთან“ მსხვილბიუჯეტიანი ხელშეკრულებები ფორმდებოდა, მოახდინა თუ არა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ჩინური კომპანიის ისტორიის შესწავლა და ზოგადად, რა კრიტერიუმით შეარჩია დღეს უკვე „უარყოფითი რეპუტაციის“ მქონე კომპანია ერთ-ერთ მსხვილ კონტრაქტორად, სეთურიძე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (დონორების) მიერ დაფინანსებული ყველა შესყიდვა სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით და მის ფარგლებში მიმდინარეობს.

ამიტომ, როგორც სეთურიძე აღნიშნავს, შემსყიდველ ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში გზების დეპარტამენტს, არ აქვს გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლება. მისი მტკიცებით, ყველა ანგარიში იგზავნება დონორ ორგანიზაციაში და ისინი ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელ კომპანიასთან გაფორმდეს ხელშეკრულება და რომელთან არა.

– არც ერთი შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხებ თანხას ხარჯავს, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ იღებს. დონორი ორგანიზაციები მის სატენდერო პროცედურებში შეფასების დროს თვითონ სწავლობენ კომპანიის საქმიანობას. ეს არის მათი სუვერენული პრეროგატივა კომპანიის დისკვალიფიკაცია და არადისკვალიფიკაცია, – აცხადებს სეთურიძე.

რა ბედი ელის კომპანია „სინოჰიდროს“ მიერ დაწყებულ პროექტებს საქართველოში და როგორ აისახება ეს ფაქტი კომპანიის მიმდინარე პროექტებზე, ამის საპასუხოდ სეთურიძე აცხადებს:

– „შესაძლოა, ის „სინოჰიდრო“, რომელიც ანგარიშშია ნახსენები, ერთ დიდ ჯგუფში შემავალი, მაგრამ სხვა იურიდიული პირია. ჩვენ ამას შევისწავლით და ანგარიშის სრულ ვერსიას დაახლოებით 1 კვირაში მოგაწვდით.

სეთურიძის განცხადებით, „სინოჰიდროს“ პროექტების დაპაუზება არ განიხილება. სეთურიძის განცხადებით, მოქმედი კონტრაქტები ასეთი ფაქტების გამო არ წყდება. მისი განცხადებით, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოქმედი კონტრაქტი ითვალისწინებს.

– ეს კონტრაქტები კი საერთაშორისოა და მათი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით არ ხდება, – აცხადებს სეთურიძე.

საავტომობილო გზები დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამჟამად სინოჰიდრო საქართველოში რამდენიმე პროექტს ახორციელებს. მათ შორის, ქობულეთის შემოვლითი გზის II ლოტს, გრიგოლეთი-სამტრედიის II ლოტს და ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის I ლოტს. საუბარია, ჯამში დაახლოებით 1 მილარდი ლარის პროექტებს.

მისი მტკიცებით, „სინოჰიდროს“ იმ ჯგუფთან, რომელიც საქართველოშია წარმოდგენილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტს პრეტენზიები არ გააჩნია.

– თუმცა, სამუშაო პროცესია, ხანდახან მითითებას ვაძლევთ და ისინი ამას ყველაფერს ითვალისწინებენ, – აცხადებს სეთურიძე.

# რატომ დაუბრუნდება საქართველო რუსულ გაზს?

პოლიტიკური რეალობა ჯერ ისევ სერიოზულად ხელს უშლის რუსულ-ქართული ურთიერთობების განვითარებას – ორმხრივი დაინტერესების შემთხვევაშიც კი, ნებისმიერი ენერგეტიკული შეთანხმება მოსკოვსა და თბილისს შორის ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებას გამოიწვევს.

ენერგეტიკულ სექტორში არსებული ტენდენციები სულ უფრო და უფრო უბიძგებს საქართველოს და რუსეთს თანამშრომლობისკენ.

2017 წლის პირველ კვარტალში საქართველომ „გაზპრომისგან“ 100 მლნ. კუბური მეტრი გაზი შეისყიდა, რის შემდეგაც მაშინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ ამით რუსული „ცისფერი საწვავის“ შესყიდვები დასრულებულია.

2007 წლამდე რუსეთი საქართველოსთვის გაზის ექსკლუზიური მიმწოდებელი იყო, თუმცა, 2008 წლის შემდეგ ეს სტატუსი აზერბაიჯანს ერგო. ფაქტობრივად, რუსული გაზის მიწოდება დარჩა მხოლოდ სომხური ტრანზიტის დონეზე – სომხეთისთვის მოწოდებული გაზის 10%-ის მოცულობით.

თუმცა, 2017 წელს სიტუაცია შეიცვალა – გაზპრომმა უარი განაცხადა ტრანზიტის ასეთი გზით ანაზღაურებაზე და ფულად ანგარიშსწორებაზე გადავიდა.

სავარაუდოდ, საშუალოვადიან პერსპექტივაში, თბილისს აუცილებლად დასჭირდება დამატებით გაზის შესყიდვა რუსეთისგან. მეტიც – რუსეთი ზრდის გაზის გაყიდვებს აზერბაიჯანში. 2017 წელს ბაქოში გაიხსნა „გაზპრომ-ექსპორტის“ ოფისი, რომელმაც მოაწერა ხელი „სოკართან“ შეთანხმებას 1,6 მლრდ. კუბური მეტრი გაზის მიწოდებაზე.

აზერბაიჯანს გააჩნია გარკვეული სირთულეები საქართველოში გაზის მიწოდების ზრდასთან დაკავშირებით – საბადო აფშერონის სიმძლავრე აღმოჩნდა ბევრად ნაკლები, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ – მაქსიმალური მოპოვება მომავალში მიაღწევს წლიურად 1,5 მლრდ. კუბურ მეტრს 5 მლრდ-ს ნაცვლად, როგორც იყო დაგეგმილი. შესაბამისად, მთელი ეს გაზი უკვე სხვადასხვა მიმართულებებზეა განაწილებული.

გარდა ამისა, საქართველოს და აზერბაიჯანის ენერგეტიკულ თანამშრომლობას მომავალში ხელს შეუშლის გაზის შედარებით დაბალი რენტაბელურობა – საქართველო იღებს გაზს აზერბაიჯანიდან ევროპულზე ბევრად დაბალ ფასად.

კერძოდ, საქართველოსთვის შაჰ-დენიზის საბადოდან მიწოდებული გაზის ღირებულებაა 71-72 დოლარი 1.000 კუბურ მეტრზე – ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროპისთვის.

გარდა ამისა, საქართველო იღებს თავის ტერიტორიაზე გატარებული გაზის რაოდენობის 5%-ს დაახლოებით 59 დოლარად. ასევე შეღავათიან ფასში მოდის სოციალური გაზი, რომელსაც იყენებენ ადგილობრივი თბოელექტროსადგურები.




ეს კარგად ესმის ქართულ ისტებლიშმენტს და ბოლო წლების მანძილზე თბილისმა სცადა ირანთან ხელშეკრულების დადება, თუმცა, ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო ეს პროექტი ალბათ ვერ ამოქმედდება. თანაც, ირანული გაზი საქართველოში სომხეთის გავლით უნდა წამოვიდეს, რომლის საგაზო ინფრასტრუქტურასაც მოსკოვი მთლიანად აკონტროლებს.

საქართველოსთვის რუსული გაზი უფრო ძვირია, ვიდრე აზერბაიჯანული, თუმცა ბაქოსგან განსხვავებით, მოსკოვს არ ელის გაზის დეფიციტი. არ არსებობს არც სატრანსპორტი პრობლემები – მაგისტრალურ გაზსადენს შეუძლია წლიურად 12 მლრდ. კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება. ამ ეტაპზე ის დატვირთულია მხოლოდ მეოთხედით.

საქართველოსთვის სავარაუდო რუსული გაზის ფასი არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია 1.000 კუბურ მეტრში 185 დოლარად. სამომავლო ორიენტირი ალბათ ეს იქნება.

თეორიულად თბილისს შეუძლია რუსული გაზის შესყიდვების თავიდან არიდება საკუთარი სარესურსო ბაზის განვითარების ხარჯზე, თუმცა, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით განსაკუთრებული პროგრესი მოსალოდნელი არაა – საკუთარი ენერგომატარებლების მოპოვების ზრდის შანსი თბილისს არ გააჩნია – მიუხედავად არა ერთი განცხადებისა.

ამერიკული კომპანია „ფრონტერა“, რომელიც გაზის საბადოებს ამუშავებს საქართველოში, აცხადებს, რომ ქვეყანას გააჩნია გაზის სოლიდური მარაგი – 266 მლრდ. კუბური მეტრი, თუმცა, ჯერჯერობით ზეპირი განცხადებების იქეთ, საქმე არ მიდის.

ზღვის შელფის დამუშავებასაც არა აქვს პერსპექტივა, რადგანაც ეს საბადოები ძირითადად იმყოფება სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიაზე და ალბათ კიდევ დიდი ხანი ვერ იქნება თბილისის იურისდიქციაში.

ამდენად, „გაზპრომისთვის“ იხსნება ერთ-ერთ ტრადიციულ ბაზაზე დაბრუნების საშუალება, ხოლო თბილისს უჩნდება გაზის მიღების ალტერნატიული წყარო. ამან შეიძლება უბიძგოს ქვეყნებს პოლიტიკური დიალოგის დაწყებისკენ – ენერგეტიკული კონტაქტების გაღრმავებას შეუძლია პოლიტიკური დაახლოების ხელშეწყობა.

# 1-ელი თებერვლიდან მასწავლებლების ნაწილს ხელფასი გაეზრდება

1-ელი თებერვლიდან წამყვანი და მენტორი მასწავლებლების შრომის ანაზღაურება გაიზრდება. კერძოდ, წამყვანი მასწავლებელი სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში 700 ლარს აიღებს, ხოლო მენტორი – 1 000 ლარს, – ამის შესახებ Allnews.ge-ს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, მანანა რატიანის ინფორმაციით, ამ ეტაპზე საქართველოში 257 წამყვანი და 9 მენტორი მასწავლებელია.

მისივე თქმით, ცვლილებამდე წამყვანი მასწავლებლის დანამატი 500, ხოლო მენტორის 700 ლარი იყო.

– ზოგადად, მასწავლებლის ანაზღაურება 405 ლარს შეადგენს, რომელსაც დანამატები ემატება. მაგალითად, დამრიგებლის, დოქტორის, მაგისტრის სტატუსების მიხედვით.



სტატუსის მიხედვით პრაქტიკოსი მასწავლებლის დანამატი 320 ლარია, წამყვანისთვის კი 500, ხოლო მენტორისთვის 700 ლარი იყო. ცვლილებებით კი წამყვანისა და მენტორის დანამატების გაზრდა მოხდა, რაც მასწავლებლისთვის ერთგვარად გარე მოტივატორია, რომ მეტი აქტივობა განახორციელოს, მოსწავლეებზე მეტად ორიენტირებული იყოს, რის შესაბამისადაც მისი ანაზღაურება გაიზრდება, – განმარტავს მანანა რატიანი ოლნიუს.გე-სთან საუბრისას.

შეგახსენებთ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა უკვე ორი წელია მოქმედებს. სქემის მიხედვით პედაგოგები 4 კატეგორიად – პრაქტიკოსად, უფროს, წამყვან და მენტორებად განაწილდნენ. პედაგოგებს სქემა საშუალებას აძლევს კატეგორიაში დაწინაურდეს და, შესაბამისად, უფრო მეტი ანაზღაურებაც მიიღოს.

# ბადრი ჯაფარიძე: „ეს არის ყველაზე დიდი ტრანზაქცია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში“

„თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი ბადრი ჯაფარიძე „სილქნეტის“ მიერ „ჯეოსელის“ შეძენის გარიგებას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილ ტრანზაქციას უწოდებს.

153 მილიონიანი გარიგების შეფასებისას ბანკირმა შვედურ Telia-სთან მიმდინარე რთულ მოლაპარაკებებზე გააკეთა აქცენტი, აღნიშნა, რომ ეს ისტორიული ტრანზაქციაა ტელეკომუნიკაციების სექტორისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორის განვითარებას და ექნება ძალიან კარგი შედეგი.

– ქართულ კომპანიას, როდესაც შეუძლია ამხელა რესურსის მობილიზება, ეს მიუთითებს ამ კომპანიის დიდ შესაძლებლობებზე, დიდ პოტენციალზე და იმაზე, რომ ეს კომპანია აკმაყოფილებს კორპორატიული მმართველობის საუკეთესო სტანდარტებს, – განაცხადა ჯაფარიძემ.

მისი თქმით, „სილქნეტისთვის“ 153 მილიონი დოლარის მობილიზება 7 ქართული და რეგიონალური ბანკისგან მოხდა. სინდიკატში წამყვანი თიბისი ბანკია.

## რუხის მშენებარე საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში ნაპოვნი მუშა გარდაიცვალა



რუხის მშენებარე საავადმყოფოში ერთ-ერთი მუშა, შუახნის მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იპოვეს. ის ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში, არსებული ინფორმაციით, შეყვანიდან დაახლოებით ოც წუთში გარდაიცვალა.

საავადმყოფოში აცხადებენ, რომ კომაში მყოფი პაციენტის გადარჩენა ექიმებმა, მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხეს.

— შემოყვანისას მისი მდგომარეობა მძიმე იყო. ჩაუტარდა საჭირო პროცედურები, მიმდინარეობდა რეანიმაციაც. გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, თავისა და გულმკერდის ტრავმები გახდა, — ამბობენ საავადმყოფოში.

დაღუპულის ცხედარი ქუთაისის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაასვენეს. შს სამინისტროს ცნობით, ფაქტზე გამოძიება სს კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. ჯერჯერობით, უცნობია, რა გახდა შუახნის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი. ის საავადმყოფოს მშენებლობის შიდა სამუშაოებზე იყო დასაქმებული.

## რატომ მივიდა რუსთავის მერი ქუთათელაძის მკვლელობის ადგილზე



რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა გიორგი ჭანტურიას ადვოკატის ლექსო კობაიძის ბრალდებებს ეხმაურება. ირაკლი ტაბაღუა ადვოკატის ბრალდებებს პასუხობს და მისი მისამართით გაჩენილ კითხვებს აბსურდულს უწოდებს. რუსთავის მერი აღნიშნავს, რომ ის ბაზრობაზე იმ დღეს ნამდვილად იმყოფებოდა. როგორც მერი განმარტავს, მერიის ცხელ ხაზზე სხვადასხვა ტიპის ზარები შედის და, შესაბამისად, რეაგირების მიზნით მას ხშირად უწევს ხოლმე შესაბამის ლოკაციებზე გასვლა.

— რუსთავის მერიაში მუშაობს ცხელი ხაზი და ძალიან ხშირად გვიწევს ადგილებზე გასვლა, რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა მოხდა და ადგილზე ვიმყოფებოდი, — განაცხადა „ნიუპოსტთან“ ირაკლი ტაბაღუამ.

რუსთავის მერი ზურაბ ჭანტურიას გათავისუფლების საკითხსაც გამოეხმაურა. მისი განმარტებით, ზურაბ ჭანტურიას ხელშეკრულების ვადა ამოეწურა. გიორგი ჭანტურიამ კი თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. გიორგი ჭანტურიას ადვოკატი რუსთავის მერის დაკითხვას ითხოვს. ადვოკატი ინტერესდება, რატომ იმყოფებოდა ის მკვლელობიდან ნახევარ საათში შემთხვევის ადგილას, ე.წ. სტამბოლის ბაზარში.

## „კანონიერი ქურდისთვის“ საქმის მოგვარების მიზნით მიმართვა დასჯადი ქმედება ხდება



შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლას ამკაცრებს, დასჯადი ქმედება ხდება როგორც „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, ასევე ქურდული შეკრების ორგანიზებაც და „კანონიერი ქურდისთვის“ საქმის მოგვარების მიზნით მიმართვაც. ამასთან დაკავშირებით გუშინ უწყებაში ბრიფინგი გაიმართა. ნათია მეზვრიშვილის თქმით, შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის წარდგენა უახლოეს მომავალში მოხდება:

— შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ინტენსიურ ღონისძიებებს ქურდული სამყაროს წინააღმდეგ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება. შსს-მ მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებების წრეს აფართოებს, კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებები „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერას, ქურდული შეკრების ორგანიზებას და ქურდული სამყაროს წევრისთვის, ასევე „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვას დანაშაულად აცხადებს და ამკაცრებს სასჯელს ქურდული სამყაროს წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი უახლოეს მომავალში იქნება წარდგენილი შესაბამის უწყებასთან, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

## პაციენტის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ბრალდებული ექიმი დამნაშავედ ცნეს



სასამართლომ პაციენტის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ბრალდებული ექიმი დამნაშავედ ცნო.

— ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და პაციენტის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ექიმი ი.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2012 წლის 18 ივლისს ორსულმა ვ.მ.-მ ქ. ქუთაისში შპს „ქუთაისის მე-3 სამშობიარო სახლს“ მიმართა და ექიმ ი.მ-სთან აღრიცხვაზე დადგა. 2013 წლის 7 იანვარს მას ექიმ ი.მ-ს მიერ საკეისრო კვეთა ჩაუტარდა, ხოლო 2013 წლის 10 იანვარს სახლში გაეწერა. რამდენიმე დღეში ვ.მ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მან ი.მ-ს მიმართა, რომელმაც არ მოახდინა პაციენტის მდგომარეობის სწორი შეფასება და სათანადო მკურნალობის ჩატარება, რის გამოც ვ.მ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და იგი 2013 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა. ი.მ.-ს 2014 წლის 4 ივლისს წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და საქმე წარიმართა სასამართლოში არსებითად განსახილველად. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ი.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ი.მ. სასამართლო დარბაზში დააკავეს, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ადვოკატმა ზაქარია ქუცნაშვილის მიერ რესტორანში გაწეული ხარჯის მტკიცებულებად აღიარება მოითხოვა

თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართა. დაცვის მხარემ პროცესზე დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის მიერ თიანეთის რესტორანში გაწეული ხარჯის ქვითარი წარადგინა და საქმეზე მტკიცებულებად დართვა მოითხოვა.



ადვოკატის განმარტებით, ქუცნაშვილი თიანეთის ერთ-ერთ რესტორანში გასული წლის 10 აგვისტოს იმყოფებოდა სამ სხვა დეპუტატთან ერთად, ხარჯი კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ იქნა გაწეული. მოსამართლემ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა:

— მსგავსი დოკუმენტი წარმოვადგინეთ დღეს, სადაც ჩანდა, რომ ზაქარია ქუცნაშვილს, როგორც პარლამენტარის და მისი სტუმრების წარმომადგენლობითი ხარჯი დაიფარა დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ეს ნიშნავს ერთ რამეს, შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ სხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლობითი ხარჯი გასწიოს და ამას სისხლის სამართლის შეფასება არ უნდა მიეცეს, — განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.

## შსს-მ მამის მიერ შვილების სახლში გამოკეტვის ფაქტზე გამოძიება იძულების მუხლით დაიწყო



სვანეთში მამის მიერ შვილების შინაპატიმრობაში გამოკეტვის ფაქტზე, შსს-მ გამოძიება იძულების მუხლით დაიწყო. ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— სვანეთში მიმდინარე მოვლენები საკმაოდ კომპლექსური და სენსიტიური საკითხია. ჩვენ ის, რაც შსს-ზე იყო დამოკიდებული, უკვე გავაკეთეთ — დავიწყეთ გამოძიება იძულების მუხლით, მაგრამ მხოლოდ გამოძიების დაწყება ამ საქმეზე და კონკრეტული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ვერ იქნება ამ საკითხის გადაჭრის სწორი გამოსავალი, ვინაიდან საკითხი კომპლექსურია, სენსიტიურია, არასრულწლოვნები არიან ჩართულები ამ პროცესებში და მიგვაჩნია, რომ სოციალური სამსახურების როლი ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია. მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და ახალი დეპარტამენტის ფარგლებში, მზად ვართ ყველა მხარეს მოვუსმინოთ, ვინც დაინტერესებულია ამ საქმით და ერთად მივიღოთ კანონიერი გადაწყვეტილება, — აღნიშნა მეზვრიშვილმა.

## სასამართლომ ადევნებაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო



სასამართლომ ადევნებაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

— ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ადევნებაში ბრალდებული ვ.ჭ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ვ.ჭ. სოციალური ქსელისა და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ს.შ.-ს შესახებ ავრცელებდა შეურაცხმყოფელ ინფორმაციას. აღნიშნული ქმედების შედეგად დაზარალებული მუდმივად განიცდიდა შეურაცხყოფას, დამცირებას და შანტაჟს, რაც იწვევდა მის ტანჯვას და მუდმივი თვალთვალის გამო ვერ ახერხებდა თავისუფლად გადაადგილებას.

2017 წლის 4 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, დანაშაულად გამოცხადდა ადევნება. კერძოდ, დასჯადი გახდა პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის, ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისას დაზარალებულის ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, საქმეში ჩართული იყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რომელმაც დაზარალებულის მორალური მხარდაჭერა უზრუნველყო და მისი საგამოძიებო და საპროცესო პროცედურების შესახებ დროული ინფორმირება მოახდინა. ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ ვ.ჭ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა პირობითი მსჯავრი ორი წლის ვადით. ასევე, მსჯავრდებულს დაეკისრა მოვალეობა, უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით არ დაამყაროს რაიმე ფორმით ურთიერთობა დაზარალებულთან და მისი ოჯახის წევრებთან, თავი აარიდოს მათთან შეხვედრას ნებისმიერ ადგილას, არ მოინახულოს აღნიშნული პირების საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშაო ადგილები, თავი შეიკავოს უშუალო და ტექნიკური საშუალებებით მათ შესახებ რაიმე ინფორმაციის გავრცელებისგან და მათი სახელების გამოყენებით რაიმე ინფორმაციის გავრცელებისგან.

აღსანიშნავია, რომ ადევნების კრიმინალიზაციის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით 12 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 6 საქმე გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## უბედური შემთხვევა ზუგდიდში — საერთო საცხოვრებელში ქალი გაიგუდა





უბედური შემთხვევა მოხდა ზუგდიდში. დადიანის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელში 82 წლის ქალბატონი კვამლისგან გაიგუდა. მეზობლების ინფორმაციით, ქალბატონი სიგარეტს ეწეოდა, რა დროსაც, საბანს ცეცხლი გაუჩნდა და დაკვამლიანება გამოიწვია.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, ის მეზობელმა ნახა, რომელიც ხშირად აკითხავდა ხოლმე, რადგან მოხუცი ავადმყოფობდა და ლოგინად იყო. ამჯერად, მან კვამლი შენიშნა და რომ შევიდა, მოხუცი გარდაცვლილი დახვდა, რის შემდეგაც საპატრულო პოლიცია გამოიძახა. ქალბატონს მარჯვენა მხარის კიდურები და მკერდის არე აქვს დამწვარი.

## ია მეტრეველმა და სოსო რობაქიძემ ბრალდების მოწმეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს



ხმაური და დაპირისპირება ბუტა რობაქიძის სასამართლო პროცესზე — საქმეზე დღეს პროკურატურის კიდევ ერთი მოწმე გიორგი კუპატაძე დაიკითხა. შს მოქმედმა თანამშრომელმა სასამართლოს წინაშე თქვა, რომ შემთხვევის ადგილზე გამოძახებისთანავე მივიდა და დაინახა ცეცხლსასროლი იარაღები, რომელიც დაკავებულთა კუთვნილი ავტომობილიდან ამოიღეს.

ბრალდების მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ ადგილზე მისულს, კოლეგებმა უთხრეს, რომ მოხდა ორმხრივი სროლა და დაკავებული იყო შეიარაღებული ჯგუფი.

ბრალდების მოწმის ამ განცხადებას დარბაზში მყოფი ია მეტრეველისა და სოსო რობაქიძის გაღიზიანება მოჰყვა.

რობაქიძემ კუპატაძეს მატყუარა უწოდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მეტრეველმა კი ზონდერი პოლიციელი უწოდა.

პოლიციის ყოფილი უფროსი, ზურაბ მიქაძე „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ კუპატაძემ ეს ინფორმაცია გაიგო, სანამ შემთხვევის ადგილზე მიქაძე, დონაძე და ფირცხალავა მივიდოდნენ, რომლებიც ამ საქმეზე დღეს ბრალდებულები არიან.

— მოწმემ გურამ დონაძის შეკითხვაზე — შემთხვევის ადგილზე რაიმე სახის სცენა ხომ არ დადგმულა, ხომ არ მომხდარა იარაღების ამოღების ხელმეორე გადაღება, ან ხომ არ მიუღია, მოუსმენია უკანონო დავალება ჩემი მხრიდან, მან ღიად თქვა, რომ ასეთი რამ არ გაუგია და არც პირადად მიუღია. სწორედ ამან გამოიწვია ქალბატონი იას და ბატონი სოსოს გაღიზიანება, მათ პროკურატურის მოწმეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, — აღნიშნა მიქაძემ.

ცნობისთვის, კუპატაძე არ არის პროკურატურის ერთადერთი მოწმე, რომელიც ამბობს, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღები სამართალდამცავებს არ მიუტანიათ.

გასულ კვირას დაიკითხა პოლიციის მოქმედი თანამშრომელი გიორგი კოპალეიშვილი. მან სასამართლოს წინაშე თქვა, რომ შემთხვევის ადგილზე ხელახალი გადაღება არ მომხდარა.

მისივე თქმით, იარაღი, რომელიც კადრებში ჩანს, დაკავებულთა ავტომობილიდან ამოიღეს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2018, 30 იანვარი, №24

## პარიზში მეტროს 7 სადგური 1 კვირით დაიხურა



პარიზში, მდინარე სენაში წყლის დონის მომატების გამო, სატრანსპორტო დეპარტამენტმა ქალაქის ცენტრში მდებარე შვიდი მეტროსადგური 5 თებერვლამდე დახურა.

გასულ ღამეს წყლის დონემ 5,84 -მეტრიან ნიშნულს მიაღწია. ეს მაჩვენებელი ნორმას 4 მეტრით აღემატება.

სანაპიროს გასწვრივ განლაგებული გზები კვლავ დატბორილია, სენაზე კი ექსკურსიები გაუქმებული.

## ინდოეთში ავტობუსი მდინარეში ჩავარდა — 10 ადამიანი დაიღუპა



ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში სამგზავრო ავტობუსის მდინარეში ჩავარდნის შედეგად, სულ მცირე, 10 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე მგზავრი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

უბედური შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ამ დრომდე მხოლოდ 7 მგზავრის გადარჩენა მოხერხდა, დანარჩენების შესახებ მონაცემები არ არსებობს.

ადგილობრივი მოსახლეობა არ დაელოდა პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების მისვლას და დამოუკიდებლად სცადეს მდინარეში ჩავარდნილი ავტობუსის ამოთრევა. როდესაც მაშველები და პოლიცია ადგილზე მივიდნენ, მათი დაგვიანებით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა სპეციალური სამსახურის მანქანებს ქვები დაუშინეს, ამოატრიალეს პოლიციის რამდენიმე ავტობუსი და ფურგონი, ასევე რამდენიმე ავტომობილი დაწვეს.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

## ტრამპს სპეცპროკურორ მიულერის გადაყენება სურდა



გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, პრეზიდენტ ტრამპს სპეცპროკურორ მიულერის გადაყენება სურდა. მიულერი ხელმძღვანელობს გამოძიებას აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში რუსების ჩარევის გამო.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამტკიცებს, რომ ტრამპი თეთრი სახლის იურისტებმა გადაარწმუნეს. ერთ-ერთმა მათგანმა, ვინმე მაკ გრინგმა, პირდაპირ განუცხადა ტრამპს, რომ მიულერის გადაყენება უდიდეს პრობლემებს შეუქმნიდა.

თავად ტრამპი ამას უარყოფს.

— ასეთი ფეიკები „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტილშია! მეტს ვერაფერს გეტყვით, — თქვა პრეზიდენტმა.

## მსოფლიომ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა დღე აღნიშნა



ჰოლოკოსტი ან დაწვი ყველა — ასე შევიდა ისტორიაში ნაცისტების მიერ ებრაელთა გენოციდი. სიტყვები ბუჰენვალდი, ოსვენციმი, დაჰაუ, ზაკსტენჰაუზენი ახლაც საშინელ ასოციაცის იწვევს. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა დღეც მთელმა დემოკრატიულმა მსოფლიომ აღნიშნა.

— ანტისემიტიზმი არსად გამქრალა და ეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის შეშფოთებას იწვევს, — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტიერეშმა.

აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა ვაშინგტონში ჰოლოკოსტის მუზეუმი მოინახულა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა:

— ასეთი რამ აღარასოდეს უნდა განმეორდეს!

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი ოფიციალური ვიზიტით ვარშავაში იმყოფებოდა. მან ვარშავის გეტოს მსხვერპლთ პატივი მიაგო.

— ყველა თანამედროვე პოლიტიკოსი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს, — თქვა ტილერსონმა.

კიევში მოეწყო პრეზენტაცია წიგნისა „ბაბიი იარის საშინელებათა შესახებ“. პრეზენტაციის ინიციატორი უკრაინის ნაციონალური ხსოვნის ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ ვიატროვიჩი იყო. მან აღნიშნა, რომ ბანდერელთა მოძრაობა დემოკრატიული იყო. ის გმობდა რასიზმს, ვოჟდიზმს, ტოტალიტარიზს, ანტისემიტიზმს.

— კანონზომიერია, რომ ბანდერელები იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ მე-20 საუკუნის ორ ძირითად ბოროტებას, ჰიტლერულ რაიხსა და საბჭოთა კავშირს! ბანდერელებმა გერმანელთა ტერორისგან უამრავი ებრაელი გადაარჩინეს, — აღნიშნა ვიატროვიჩმა.

## ბერლუსკონი ხელისუფლებაში ბრუნდება?!



სკანდალურად ცნობილი იტალიელი პოლიტიკოსი სილვიო ბერლუსკონი დიდ პოლიტიკაში ბრუნება. მისი პარტია „წინ იტალია“ მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

ჟურნალისტებთან საუბარში ბერლუსკონიმ აღნიშნა, რომ გამარჯვების იმედი აქვს.

— მე ხელისუფლებაში დავბრუნდები, — აცხადებს სენიორ სილვიო.

ბერლუსკონის პრემიერ-მინისტრის პოსტი უკვე ოთხჯერ ეკავა. მისი სახელი უამრავ სკანდალს უკავშირდება — ფინანსური მაქინაციები, სექსსკანდალები, იატაკქვეშა მასონური ლოჟა პ-2-ის წევრობა.

მასონური ლოჟა პ-2-ის მხილებამ თავის დროზე სკანდალი გამოიწვია. მან მთელი იტალია შეძრა. მთავრობაც იძულებული გახდა, სრული შემადგენლობით გადამდგარიყო. გაირკვა, რომ ხსენებული ლოჟა და მისი დიდი მაგისტრი ლიჩო ჯელი იტალიაში გადატრიალებას ამზადებდნენ. წარმატების შემთხვევაში ნავარაუდევი იყო, იტალია ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ, ამერიკული ბაზები კი ქვეყნიდან გაეძევებინათ.

პროკურორი როსეტი ამტკიცებს, რომ ბერლუსკონი შეთქმულებაში არ მონაწილეობდა. ამას ეთანხმება იტალიელი პოლიტიკოსი თინა ანსელმიც, რომელიც თავის დროზე ხელმძღვანელობდა პ-2-ის დანაშაულებრივი საქმიანობის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას.

— ჯელი ბერლუსკონის არასერიოზულ ფიგურად აღიქვამდა, არ ენდობოდა, — ამბობს ანსელმი.

სამაგიეროდ, სენიორ სილვიოს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა დაუმტკიცეს. ამ დროს ამოტივტივდა ბანკირ კალვის ფიგურა. ისიც პ-2-ის წევრი იყო და ბერლუსკონისთან ერთად ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობდა. კალვი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ის ლონდონის ხიდზე ჩამოხრჩობილი იპოვეს. თვითმკვლელობა — ასეთია ოფიციალური ვერსია. იტალიის პროკურატურა შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მკვლელობა ბერლუსკონიმ შეუკვეთა. ეს ვერ დამტკიცდა.

სილვიო ბერლუსკონი პუტინისადმი და რუსეთისადმი სიმპათიებს საჯაროდ აფიქსირებს. ექსპერტები თვლიან, რომ ეს შემთხვევითი არაა და რომ პუტინს იტალიელზე კომპრომატები გააჩნია. ასეა თუ ისე, უდავოა ერთი: პუტინი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ბერლუსკონი კვლავ პრემიერი გახდეს. თუ რუსეთის პრეზიდენტმა ეს შეძლო, ამით ევროპას დამატებით პრობლემას შეუქმნის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66. .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

*კალეიდოსკოპი*

## სასკოლო განათლებაზე გულაცრუებულმა ამერიკელმა შვილს ავტომატის აწყობა ასწავლა



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა ბავშვების სწავლის საკუთარი სისტემა შეიმუშავა, რომელშიც უმთავრეს მომენტს იარაღის ფლობა წარმოადგენს.

მამაკაცის თქმით, ახალგაზრდობაში მას ხშირად ექმნებოდა პრობლემები კანონთან. კერძოდ, ის მეგობრებთან ერთად მანქანებიდან ნივთებს იპარავდა. ამჟამად კი თავს მასწავლებლად და ახალგაზრდების დამრიგებლად მიიჩნევს.

მის გოგონას და ბიჭს არასოდეს უვლიათ სკოლაში, მაგრამ თვალდახუჭულებს შეუძლიათ ავტომატის აწყობა. ამავე დროს შესანიშნავად იციან უამრავი ფაქტი აშშ-ის ისტორიიდან. სწავლის საკუთარ კონცეფციას ინტერნეტის მომხმარებლებს ვიდეორგოლების საშუალებით აცნობს.

მამაკაცის თქმით, მას სურს, რომ მისი შვილები დამოუკიდებელ ადამიანებად გაიზარდნენ, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების დროს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება შეეძლებათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კეიტ მიდლტონმა საკუთარი თმები ავადმყოფ ბავშვებს გადასცა



კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონმა თავისი თმების ნაწილი კიბოთი დაავადებული ბავშვებისთვის პარიკების დასამზადებლად გადასცა.

რამდენიმე თვის განმავლობაში კეიტის სტილისტი დაჟინებით ითხოვდა მისთვის თმების ნაწილის შეჭრას, მათი მეტისმეტი სიგრძის გამო. ბოლოსდაბოლოს სავარძელში ჩამჯდარმა ჰერცოგინიამ გადაწყვიტა, მოჭრილი თმები შეენახა და ისინი ანონიმურად გადაეგზავნა საქველმოქმედო ფონდში.

— სადღაც პატარა გოგონა ნამდვილი პრინცესას თმებით ივლის, — განუცხადეს სამეფო სასახლეში ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ჟურნალისტს. გავრცელებული ინფორმაციით, კეიტ მიდლტონის მოჭრილი თმების სიგრძე დაახლოებით 20 სანტიმეტრს შეადგენს.

საქველმოქმედო ფონდში განაცხადეს, რომ არ გააჩნიათ ინფორმაცია სამეფო ოჯახის წევრისგან თმების შემოწირვაზე.

## მოკლული მოდელი ჩანთებში ჩადებული იპოვეს



მოკლული და დანაწევრებული ამერიკელი მოდელი ავტომობილის მბვ-ს საბარგულში აღმოაჩინეს. ინციდენტი ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ალოხში 25 იანვარს მოხდა, თუმცა პოლიციამ ინფორმაცია მხოლოდ ახლა გაავრცელა.

28 წლის მოდელისა და მსახიობის სარა ჟგოულის თავმოჭრილი და დანაწევრებული სხეული შავი ფერის ავტომობილის საბარგულში ორ ჩანთაში იყო გადანაწილებული. მას პატარა შვილი დარჩა.

ამის შემდეგ მოკლე დროში პოლიციამ სავარაუდო დამნაშავე დააკავა, რომელმაც პოლიციელების დანახვისას თავის მოკვლა სცადა. პოლიციელებმა მისი ვინაობის გამხელაზე უარი განაცხადეს. თვითმხილველების თქმით, ის ერთი საათის განმავლობაში იმალებოდა თხრილში, ხოლო მის ყვირილში „სასოწარკვეთილება“ იგრძნობოდა.

# 17 წლამდე ნაკრებმა კარგად დაწყებული ტურნირი კრახით დაასრულა



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკში გამართულ განვითარების თასზე მშვენივრად დაიწყო, რამდენიმე კარგი გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ ბოლო შეხვედრაში სლოვაკეთთან არასაფეხბურთო ანგარიშით, 1:8 დამარცხდა. შედეგად, გიორგი ნემსაძის გუნდმა ტურნირი მე-5 ადგილზე დაასრულა.

განვმეორდებით და თუ ბოლო შეხვედრას არ ჩავთვლით, ნემსაძის გუნდს მინსკის ტურნირზე ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვებია: ჩვენებმა ჯგუფურ ეტაპზე ყაზახეთი (3:2) და მოლდოვა (3:0) დაამარცხეს და უკრაინასთან 1:3 წააგეს. პლეი ოფში კი ბელგიას მოუგეს (3:1). ამის შემდეგ სლოვაკეთთან დაფიქსირებული შედეგი მართლაც მოულოდნელია.

შედეგიდანაც ჩანს, რომ მთელი მატჩი სლოვაკეთის 17-წლამდელთა ნაკრების კოლოსალური უპირატესობით წარიმართა. ქართველთაგან ერთადერთი გოლი გიორგი გულიაშვილის ანგარიშზეა.

# ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე გუნდები დაწყვილდნენ




კალათბურთში ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირი მათ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, 1-დან 4 თებერვლამდე გაიმართება.

მემორიალში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მასში წლეულს 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაგან 7 სუპერლიგის, ხოლო ერთი ა ლიგის წარმომადგენელია. ესენი არიან: ქუთაისი, რუსთავი, კაკტუსი, ოლიმპი, მგზავრები, მარნეული, სოხუმი (სუპერლიგა) და წყალტუბო (ა ლიგა).

ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. გუნდები მეოთხედფინალში სატურნირო ცხრილში დაკავებული ადგილების მიხედვით დაწყვილდნენ:

ქუთაისი-წყალტუბო; ოლიმპი-მგზავრები (ამ წყვილებში გამარჯვებულები ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან) და რუსთავი-სოხუმი; კაკტუსი-მარნეული (მეორე ნახევარფინალისტების ვინაობას გაარკვევენ).

მეოთხედფინალური მატჩები 1 თებერვალს გაიმართება. გამარჯვებულები ნახევარფინალის საგზურებს მოიპოვებენ და ერთმანეთს 2 თებერვალს დაუპირისპირდებიან. ფინალური მატჩი ქუთაისის სპორტის სასახლეში 4 თებერვალს, 16:00 საათზე შედგება.

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირი 2006 წლიდან იმართება და წლეულს იგი მეცამეტედ ჩატარდება.

# დიქსონისა და ბითაძის ევროპული ტიტულები




ესპანეთის ლიგა ენდესას მე-18 ტურის ბოლო მატჩში თორნიკე შენგელიას ბასკონია მადრიდში ესტუდიანტესს ესტუმრა და მცირე სასწაული მოახდინა. ბასკები მე-3 მეოთხედში მეტოქეს 17 ქულის სხვაობით ჩამორჩებოდნენ, თუმცა, დარჩენილ დროში მაინც მოახერხეს გამარჯვების მოპოვება – 89:87.

ქართველი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 23 წუთში 17 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მოაგროვა. შენგელიამ 6-დან 5 ორქულიანი, სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტმა 19 ერთეული შეადგინა.

ესპანეთის ჩემპიონატის მე-18 ტურში დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა გიორგი შერმადინის უნიკახამაც. მალაგელები სტუმრად ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერს, ბურგოსს შეხვდნენ და 85:78 მოუგეს.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 15 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. გიორგიმ 4-დან 1 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ბასკონიასა და უნიკახას ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ – 11 მოგება და 7 მარცხი. ორივე გუნდი ფუენლაბრადასთან ერთად, 4-6 ადგილებს იყოფს.

ბასკონია მომდევნო მატჩს შინ, ბარსელონასთან გამართავს, ხოლო შერმადინის გუნდი ასევე შინ, მურსიას დაუხვდება.

იტალიის სერია ა-ში მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია აუტსაიდერ პესაროს ესტუმრა და 104:96 იმარჯვა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა (3 შეტევაში), 1 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. მანუჩარმა 6-დან 2 ორქულიანი და 5-დან 3 სამქულიანი ჩააგდო.

7 მოგებითა და 10 მარცხით რეჯიო ემილოამ მე-11 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი შინ, სარდინიულ სასარისთან გამართავს.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა განვლილ უქმეებზე 2 ტიტულიც მოიპოვეს.

გოგა ბითაძის მეგა ბემაქსი ადრიატიკის ახალგაზრდული (19-წლამდე) ლიგის ჩემპიონი გახდა, 18 წლის ქართველი კალათბურთელი კი „ოთხთა ფინალის" უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს.

სერბულმა გუნდმა ნახევარფინალში ბოსნიურ იგოკეას 73:70 სძლია, ქართველმა ცენტრმა კი 34 წუთში 17 ქულა, 14 მოხსნა (7 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

ბითაძეს ტემპი არც ფინალში დაუგდია, სადაც მეგა ბემაქსი უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ ცრვენა ზვეზდას გაეჯიბრა და მოულოდნელად იოლად – 82:60 სძლია. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის მერე გოგას გუნდი 2 ქულით მარცხდებოდა, მე-2 ნახევარში კი მეტოქე 47:23 გაანადგურა.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 24 წუთში 17 ქულა, 8 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 9-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

თამაშის მერე გოგას საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს და, ცხადია, ის „ოთხთა ფინალის" სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ დიქსონი, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა, ფორმა აღიდგინა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა.

თურქეთის კალათბურთის ფედერაციის ნახევარფინალში დიქსონის ბაჰჩეშეჰირი აქხისარ ბელედიეს შეხვდა და 92:84 სძლია. მაიკლმა 19 წუთში 15 ქულა, 1 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა. საქართველოს მოქალაქემ 4-დან 2 ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული წევრის გუნდმა ფინალურ მატჩში 89:59 გაანადგურა ტურკ ტელეკომი და ნამატჩევს თასი თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჰიდაიეთ თურქოღლუსგან ჩაიბარა.

დიქსონმა მოედანზე 16 წუთი გაატარა, რა დროშიც 8 ქულა, 2 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. მაიკლმა 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 2 სამიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო კი ააცილა.

# ფედერერის მეოცე და ვოზნიაცკის პირველი ტიტული

დასრულდა ავსტრალიის ღია პირველობა და ახალ სეზონს ორი ტრიუმფატორი ჰყავს – კაცებში შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, ხოლო ქალებში დანიელი კაროლინა ვოზნიაცკი.



36 წლის ფედერერი ჩოგბურთის ისტორიაში განუმეორებელ მოვლენად რჩება. ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ავსტრალიის ღია პირველობაზე მე-20 ფინალი მოიგო! თავად ავსტრალიის ღია პირველობა კი – მეექვსედ.

დიდი სლემის ტურნირებზე მე-20 ტრიუმფი იმას ნიშნავს, რომ ფედერერი ჩოგბურთის ისტორიაში პირველი მამაკაცია, რომელმაც ეს შეძლო! 20 და მეტი დიდი ტიტული მის გარდა მხოლოდ ქალებს აქვთ – მარგარეტ კორტს (24), სერენა უილიამსსა (23) და შტეფი გრაფს (22).

როჯერმა ფინალში 29 წლის ხორვატი მარინ ჩილიჩი 5 სეტში – 6:2, 6:7, 6:3, 3:6, 6:1 დაამარცხა. მართალია, ფინალი 3 საათი და 7 წუთი გაგრძელდა, მაგრამ ფედერერის გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია.

**როჯერ ფედერერი:**

– მე-20 დიდი სლემი მოვიგე – ეს დაუჯერებელი რიცხვია. პირველი გამარჯვების დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთ რამეს მოვახერხებდი.

დიდი სლემის ტურნირების გამარჯვებულებს შორის ფედერერი ყველაზე ასაკოვანთა რეიტინგში მეორე ადგილზეა. ავსტრალიელი კენ როზუოლი 1972 წელს 37 წლის იყო, როცა ასევე ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო.

მელბურნ პარკზე დიდი სლემის წლის პირველი ტურნირის გამარჯვებული ქალიც გამოვლინდა. ფინალში ნათელი იყო, რომ ავსტრალიას ახალი გამარჯვებული ეყოლებოდა – როგორც ვოზნიაცკისთვის, ისე სიმონა ჰალეპისთვის ეს კარიერის პირველი ფინალი იყო ავსტრალიის ღია პირველობაზე.

საბოლოოდ, დანიელმა მეტოქეს 3 სეტში სძლია – 7:6, 3:6, 6:4 და მსოფლიო რეიტინგის სათავეში ადგილი გაინაღდა. მელბურნში გამარჯვებით კაროლინმა 2.000 სარეიტინგო ქულა და 3.131.200 აშშ დოლარი დაიმსახურა.

არადა, მსოფლიო რეიტინგის სიაში კაროლინა 6 წლის წინაც იყო, მაგრამ ეს მისი პირველი დიდი სლემის ტურნირია, რომელიც მოიგო.

**კაროლინ ვოზნიაცკი:**

– მაპატიეთ, ერთი წამით, ჯერ თასს უნდა ვაკოცო. ამ მომენტს იმდენ ხანს ველოდი. ხმა მიკანკალებს, ცრემლს ვერ ვიკავებ, ეს ძალიან ემოციური მომენტია. დიდი მადლობა ყველას. ვულოცავ სიმონას ბრწყინვალედ ჩატარებულ ტურნირს. მესმის, რომ მისთვის ეს მძიმე დღეა – მაპატიე, რომ გავიმარჯვე. დარწმუნებული ვარ, ჩვენ წინ კიდევ ბევრი თამაში გველის. არაჩვეულებრივი ბრძოლა გვქონდა, კიდევ ერთხელ მაპატიე.

# ობამეიანგი კარიერას არსენალში გააგრძელებს




ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ დორტმუნდის ბორუსია და ლონდონის არსენალი გაბონელი თავდამსხმელის, პიერ-ემერიკ ობამეიანგის ტრანსფერზე შეთანხმდნენ.

ლონდონური კლუბი დორტმუნდს 63 მილიონ ევროს გადაუხდის. ტრანსფერში ჩართული უნდა ყოფილიყო ოლივიე ჟირუც, რომელიც არსენალიდან დორტმუნდში განათხოვრებით უნდა გადასულიყო, მაგრამ კლუბების ხელმძღვანელები 31 წლის ფრანგი თავდამსხმელის შესახებ ვერ შეთანხმდნენ.

თუმცა, ჟირუ შეიძლება ამ გარიგებაში სხვა კუთხით მოხვდეს: მართალია, ფრანგ ფეხბურთელს ლონდონიდან დორტმუნდში გადასვლა არ სურს, მაგრამ ჟირუს ჩელსიც ეპატიჟება და ფეხბურთელსაც ანტონიო კონტეს გუნდში სურს თამაში.

დორტმუნდელებს ჩელსის ბელგიელი ფორვარდი მიში ბაჩუაიც აინტერესებთ და, შესაძლოა, სამკუთხედი შეიკრას – ჩელსიმ 24 წლის ბაჩუაი ბორუსიაში გაანათხოვროს, არსენალიდან კი ჟირუ წაიყვანოს.

28 წლის ობამეიანგი არსენალის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა. ბილდის ინფორმაციით, გაბონელის ხელფასი ლონდონში წელიწადში 10 მილიონი ევრო (პლუს პრემიები) იქნება.

# შედეგები

28 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ჩელსი-ნიუკასლი ............ 3:0
კარდიფი-სიტი ............ 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-ესპანიოლი ............ 3:2
ატლეტიკო-ლას პალმასი ............ 3:0
სევილია-ხეტაფე ............ 1:1
ბარსელონა-ალავესი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 18 | 3 | 0 | 59-10 | 57 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 13 | 7 | 1 | 32-9 | 46 |
| 3.ვალენსია | 21 | 12 | 4 | 5 | 42-25 | 40 |
| 4.რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 43-19 | 38 |
| 5.ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.სევილია | 21 | 10 | 3 | 8 | 27-29 | 33 |
| 7.ეიბარი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-33 | 29 |
| 8.სელტა | 20 | 8 | 4 | 8 | 35-28 | 28 |
| 9.ხეტაფე | 21 | 7 | 7 | 7 | 26-21 | 28 |
| 10.ხირონა | 21 | 7 | 7 | 7 | 29-29 | 28 |
| 11.ლეგანესი | 20 | 8 | 4 | 8 | 20-21 | 28 |
| 12.ბილბაო | 21 | 6 | 9 | 6 | 24-23 | 27 |
| 13.ბეტისი | 20 | 8 | 3 | 9 | 33-41 | 27 |
| 14.ესპანიოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 18-28 | 24 |
| 15.სოსიედადი | 21 | 6 | 5 | 10 | 36-40 | 23 |
| 16.ლევანტე | 21 | 3 | 10 | 8 | 18-30 | 19 |
| 17.ალავესი | 21 | 6 | 1 | 14 | 17-31 | 19 |
| 18.დეპორტივო | 21 | 4 | 5 | 12 | 24-46 | 17 |
| 19.ლას პალმასი | 21 | 4 | 2 | 15 | 16-50 | 14 |
| 20.მალაგა | 21 | 3 | 4 | 14 | 14-34 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეონესა-სევილია ............ ბ
2:1
ხიხონი-ხიმნასტიკი ............ 2:0
ალმერია-ნუმანსია ............ 0:0
უესკა-ოსასუნა ............ 1:0
ტენერიფე-ვალიდოლიდი ............ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-მაინცი ............ 2:0
ჰანოვერი-ვოლფსბურგი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 16 | 2 | 2 | 49-16 | 50 |
| 2.ლევერკუზენი | 20 | 9 | 7 | 4 | 41-27 | 34 |
| 3.შალკე | 20 | 9 | 7 | 4 | 32-25 | 34 |
| 4.აინტრახტი | 20 | 9 | 6 | 5 | 26-20 | 33 |
| 5.ლაიპციგი | 20 | 9 | 5 | 6 | 32-29 | 32 |
| 6.დორტმუნდი | 20 | 8 | 7 | 5 | 42-27 | 31 |
| 7.გლადბახი | 20 | 9 | 4 | 7 | 30-32 | 31 |
| 8.აუგსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 29-26 | 28 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 6 | 7 | 31-32 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 20 | 7 | 6 | 7 | 28-30 | 27 |
| 11.ჰერტა | 20 | 6 | 8 | 6 | 27-27 | 26 |
| 12.ფრაიბურგი | 20 | 5 | 9 | 6 | 22-35 | 24 |
| 13.ვოლფსბურგი | 20 | 4 | 11 | 5 | 23-24 | 23 |
| 14.შტუტგარტი | 20 | 6 | 2 | 12 | 16-26 | 20 |
| 15.მაინცი | 20 | 5 | 5 | 10 | 24-35 | 20 |
| 16.ვერდერი | 20 | 3 | 8 | 9 | 16-25 | 17 |
| 17.ჰამბურგი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-29 | 16 |
| 18.კიოლნი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-34 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-დინამო ............ 1:0
ზ.პაული-დარმშტადი ............ 0:1
აუე-ბრაუნშვაიგი ............ 1:3

**იტალია. სერია ა**

სპალი-ინტერი ............ 1:1
ტორინო-ბენევენტო ............ 3:0
ნაპოლი-ბოლონია ............ 3:1
კროტონე-კალიარი ............ 1:1
ფიორენტინა-ვერონა ............ 1:4
ჯენოა-უდინეზე ............ 0:1
მილანი-ლაციო ............ 2:1
რომა-სამპდორია ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 22 | 18 | 3 | 1 | 48-14 | 57 |
| 2.იუვენტუსი | 22 | 18 | 2 | 2 | 52-15 | 56 |
| 3.ლაციო | 22 | 14 | 4 | 4 | 57-27 | 46 |
| 4.ინტერი | 22 | 12 | 8 | 2 | 37-17 | 44 |
| 5.რომა | 22 | 12 | 5 | 5 | 32-17 | 41 |
| 6.სამპდორია | 22 | 11 | 4 | 7 | 41-31 | 37 |
| 7.მილანი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-29 | 34 |
| 8.ატალანტა | 22 | 9 | 6 | 7 | 34-27 | 33 |
| 9.უდინეზე | 22 | 10 | 2 | 10 | 35-31 | 32 |
| 10.ტორინო | 22 | 7 | 11 | 4 | 32-28 | 32 |
| 11.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 31-28 | 28 |
| 12.ბოლონია | 22 | 8 | 3 | 11 | 27-33 | 27 |
| 13.კიევო | 22 | 5 | 7 | 10 | 21-39 | 22 |
| 14.სასუოლო | 22 | 6 | 4 | 12 | 14-34 | 22 |
| 15.ჯენოა | 22 | 5 | 6 | 11 | 16-24 | 21 |
| 16.კალიარი | 22 | 6 | 3 | 13 | 20-34 | 21 |
| 17.კროტონე | 22 | 5 | 4 | 13 | 17-39 | 19 |
| 18.სპალი | 22 | 3 | 8 | 11 | 23-40 | 17 |
| 19.ვერონა | 22 | 4 | 4 | 14 | 22-45 | 16 |
| 20.ბენევენტო | 22 | 2 | 1 | 19 | 13-49 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ჩიტადელა-ფროზინონე ............ 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-სტრასბური ............ 2:1
ბორდო-ლიონი ............ 3:1
მარსელი-მონაკო ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 19 | 2 | 2 | 72-17 | 59 |
| 2.ლიონი | 23 | 14 | 6 | 3 | 52-25 | 48 |
| 3.მარსელი | 23 | 14 | 6 | 3 | 47-24 | 48 |
| 4.მონაკო | 23 | 14 | 5 | 4 | 53-24 | 47 |
| 5.ნანტი | 23 | 11 | 4 | 8 | 22-21 | 37 |
| 6.ნიცა | 23 | 10 | 4 | 9 | 29-33 | 34 |
| 7.მონპელიე | 23 | 7 | 10 | 6 | 20-19 | 31 |
| 8.რენი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-32 | 31 |
| 9.ბორდო | 23 | 8 | 5 | 10 | 27-32 | 29 |
| 10.გენგამი | 23 | 8 | 5 | 10 | 24-32 | 29 |
| 11.დიჟონი | 23 | 8 | 4 | 11 | 33-46 | 28 |
| 12.სტრასბური | 23 | 7 | 6 | 10 | 28-39 | 27 |
| 13.კაენი | 23 | 8 | 3 | 12 | 15-26 | 27 |
| 14.სტ.ეტიენი | 23 | 7 | 5 | 11 | 22-38 | 26 |
| 15.ამიენი | 23 | 7 | 4 | 12 | 20-25 | 25 |
| 16.ანჟე | 23 | 5 | 10 | 8 | 26-32 | 25 |
| 17.ლილი | 23 | 7 | 4 | 12 | 21-34 | 25 |
| 18.ტრუა | 23 | 7 | 3 | 13 | 22-32 | 24 |
| 19.ტულუზა | 23 | 6 | 5 | 12 | 21-32 | 23 |
| 20.მეცი | 23 | 5 | 3 | 15 | 20-39 | 18 |

**ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი**

უტრეხტი-აიაქსი ............ 0:0
როდა-ექსელსიორი ............ 2:1
ფეიენოორდი-დენ ჰააგი ............ 3:1
ტილბურგი-ალკმაარი ............ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-რეინჯერსი ............ 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-ბრიუგე ............ 2:0
სტანდარდი-ანდერლეხტი ............ 3:3
ოსტენდე-ლოკერენი ............ 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-პაოკი ............ 0:1
ატრომიტოსი-ლარისა ............ 1:0
ქსანთი-ლევადიაკოსი ............ 2:1
პანიონიოსი-იანინა ............ 0:1
ასტერასი-ოლიმპიაკოსი ............ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-სივასი ............ 1:0
აკჰისარი-ანთალია ............ 1:1
ტრაბზონი-ფენერბახჩე ............ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## დაცინვის ობიექტად ქცეული ახალგაზრდა მოდელი გახდა



ავსტრალიელი რაილი ბირნი მოდელი გახდა, მიუხედავად მისი თანდაყოლილი მკერდის დეფექტისა. მის ისტორიას ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ მიაქცია ყურადღება.

ბირნი მკერდის დეფორმაციით დაიბადა და ეს მის სატანჯველად იქცა, ვინაიდან ის მუდმივად თანატოლების დაცინვის ობიექტს წარმოადგენდა. თუმცა 16 წლის ასაკში მან გადაწყვიტა, საკუთარი ცხოვრება შეეცვალა: მიაშურა სავარჯიშო დარბაზს, რათა კუნთები გაემაგრებინა და მკერდის ფორმა შეეცვალა.

– ჩემი თვითშეფასება ნულის ტოლი იყო, ხოლო ბავშვობის ნამდვილ საშინელებას წარმოადგენდა ხალხში წელს ზევით შიშველი გამოჩენა, – იხსენებს 21 წლის ავსტრალიელი.

ხუთი წლის მანძილზე თავდაუზოგავი ვარჯიშების შემდეგ ბირნმა თავისსას მიაღწია: მას ინსტაგრამში საკუთარი გვერდი და იუთუბიზე არხი მიჰყავს, რომელიც ფიტნესს და ცხოვრების ჯანსაღ წესს ეხება და ასევე პერსონალურ ვარჯიშებს ატარებს, ის საკუთარ თავს წარმოადგენს, როგორც ერთადერთ მწვრთნელს მსოფლიოში, რომელიც მსურველებს მკერდის თანდაყოლილი დეფექტის დაფარვაში ეხმარება.

ახალგაზრდასთან უკვე გააფორმა კონტრაქტი რამდენიმე სამოდელო სააგენტომ. წარმატების საიდუმლოდ ის თავდაუზოგავ შრომას ასახელებს.

– ერთბაშად არაფერი იცვლება. კვირაში ექვს დღეს სავარჯიშო დარბაზში დავდივარ და იქ დაახლოებით ორ საათს ვატარებ, – განაცხადა ბირნმა.

## ბრიტანელმა მასწავლებელმა ნახევრად შიშველი შეიარაღებული გოგონა განაიარაღა



მათემატიკის მასწავლებელს ბრიტანეთის ქალაქ ვუსტერიდან ღამით გაეღვიძა და თავის ოთახში საცვლებში გამოწყობილი უცნობი გოგონა დაინახა, რომელსაც დანები ეჭირა ხელში. მამაკაცმა მისი განიარაღება შეძლო.

რიჩარდ ჰილმა განაცხადა. რომ დილის 4 საათზე ის საცვლების ამარა მყოფმა უცნობმა გოგონამ გააღვიძა. მას ხელებში ეჭირა ორი ხის საჭრელი დანა, პურის დანა და ჩანგალი, გოგონას გვერდით იდო სანახევროდ დაცლილი ვისკის ბოთლი.

– ის შესანიშნავად გამოიყურებოდა: 20 წლის იქნებოდა და მას მხოლოდ ეცვა მაქმანებიანი ლიფი და ტრუსიკი, – იხსენებს ჰილი, – წამოვხტი და ხელიდან იარაღები გამოვტაცე. ძალიან შემეშინდა, ან სხვა რა უნდა გამეკეთებინა.

ამის შემდეგ, მან უცნობი გოგონა დაამშვიდა და პოლიცია გამოიძახა. მათი თქმით, ის პირველი არ ყოფილა, ვისთანაც გოგონამ ღამით სახლში შეაღწია.

პოლიციელებმა გოგონა საავადმყოფოსი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ გოგონას ქმედების შედეგად არავინ დაშავებულა, ხოლო თუ როგორ ახერხებდა ის სხვის სახლებში შეღწევას, უცნობია.

## ღალატზე წასწრებულმა ახალგაზრდამ საყვარელი სექს-თოჯინად გაასაღა



ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც ღალატზე წაუსწრეს, თავისი საყვარლის სექს-თოჯინად გასაღება სცადა, მაგრამ გეგმა ჩაეშალა. ამ მოვლენის ამსახველმა ვიდეომ მას მედიის ყურადღება მიიპყრო.

აფროამერიკული წყვილის ექსპრესიული ლანძღვაგინების ამსახველი ვიდეორგოლი ტვიტერში გავრცელდა. გამოქვეყნების მომენტიდან, ის უკვე ნახა 5,26 მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა. ვიდეოზე ჩანს, რომ ქალი სახლში ბრუნდება და თავის მეგობარ მამაკაცს მომხიბვლელად მოცეკვავე გოგონასთან წაადგება თავს.

– რა ჯანდაბა ხდება აქ?! – კითხულობს ქალი.

ამის პასუხად მამაკაცი ცდილობს ქალს დაუმტკიცოს, რომ ის სინამდვილეში სექს-თოჯინაა და „მის საბუთებს“ აჩვენებს. თავად გოგონა ისე იქცევა, ვითომ რობოტია, მაგრამ როდესაც გაცოფებული ქალის მას ურტყამს, ის საცოდავი ხმით ითხოვს შებრალებას. ბოლოსდაბოლოს ის თავის თოჯინად გასაღებას თავს ანებებს, იცვამს და გარბის.

## ბრიტანელმა ქალმა მელიის ფიტული შვილად გამოაცხადა და იესო დაარქვა



ბრიტანელი ქალი ლიზა ფოქსკროფტი, მერისაიდის საგრაფოდან, მელიის ფიტულზე ამტკიცებს, რომ ის იშვილა.

ქალმა მელიის ფიტული 2015 წელს შობის დღესასწაულზე საჩუქრად მიიღო. ის ამტკიცებს, რომ მის შვილად აყვანაზე საბუთებიც კი გააფორმა.

– ეს ნამდვილი საშობაო სასწაული იყო. ჯადოსნური საჩუქარი მეგობრისგან. მე მაშინვე გადავწყვიტე, რომ მისი დედა გავმხდარიყავი, ვინაიდან ის ხომ პატარა ბავშვია და მე მასზე ისე ვზრუნავ, როგორც საკუთარ შვილზე, – განმარტავს ფოქსკროფტი. მან გადაწყვიტა, რომ მისთვის იესო დაერქმია, ვინაიდან ის საჩუქრად შობის დღესასწაულის დროს მიიღო.

მას შემდეგ ის „ბავშვს“ გვერდიდან არ იშორებს: მასთან ერთად მგზავრობს ავტობუსით, დადის მაღაზიებში. მისი თქმით, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტების და ტანსაცმლის არჩევისას „შვილმა“ მისი არჩევანი მოიწონოს. ქალი ადასტურებს, რომ მას გამვლელები ალმაცერად უყურებენ, მაგრამ, როდესაც მათ სიტუაციას განუმარტავს და მის ისტორიას უყვება, ხალხი მის მიმართ დამოკიდებულებას იცვლის და ხშირად სელფსაც კი იღებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

საგზაო-სამშენებლო საზედამხედველო-საკონსულტაციო (ინტელექტუალური) მომსახურების ფუძემდებელ-შემოქმედს

მერაბ ჯიშიაშვილს

ვულოცავთ სამოცი წლის იუბილეს!

ბატონი მერაბი მრავალი ათეული წელია წარმატებით მოღვაწეობს საგზაო-სამშენებლო სფეროში. 1980 წელს მუშაობას იწყებს საპროექტო-საგამოკვლევო ინსტიტუტ საქსაგზაპროექტში ინჟინრის თანამდებობაზე, შემდეგ აწინაურებენ ჯგუფის ხელმძღვანელად. 1989 წელს იგი გადაყვანილი იქნა საავტომობილო გზების სამინისტროში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ეკავა საპასუხისმგებლო ხელმძღვანელი თანამდებობები. 2000 წელს აარსებს კერძო საკუთრების საზედამხედველო-საკონსულტაციო კომპანიას – შპს საავტომობილო გზების რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციას, რომლის მესაკუთრე და დირექტორი დღემდე თავადაა. 2014-2017 წლების მშენებლობასთან დაკავშირებით საინჟინრო-ტექნიკური საქმიანობის შედეგების მიხედვით, კომპანია აღიარებული იქნა ლიდერ საწარმოდ და გადმოეცა შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

გამორჩეულს ცოდნით, ინტელექტით, კოლეგიალობით, ერთგულ მეოჯახეს, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, თანამშრომლების მოსიყვარულესა და დამფასებელს, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ.

*კოლეგები, მეგობრები: თეიმურაზ გოროზია, ვლადიმერ ჯიქია, მურად თურმანიძე*

**სპორტი**

## რეალი ახალი პროექტისთვის ემზადება



როგორც ჩანს, ფლორენტინო პერესი მეგა ტრანსფერებისთვის და ახალი პროექტისთვის მზადებას კვლავ შეუდგა. მადრიდის რეალის პრეზიდენტი გუნდის მნიშვნელოვნად გაძლიერებას გეგმავს და ამისთვის სოლიდური თანხის გაღებას აპირებს. მისი სამიზნე კი პრემიერ ლიგის ფეხბურთელები იქნებიან.

ფლორენტინოს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისთვის უკვე 570 მილიონი ევრო აქვს გადადებული. აქამდე გავრცელებული ცნობით, პერესი მხოლოდ 300 მილიონის დახარჯვას გეგმავდა თუმცა სიტუაცია შეიცვალა პრეზიდენტმა თანხები მნიშვნელოვნად გაზარდა.

ზიდანს თავდასხმის ხაზის გაძლიერება სურს, შესაძლოა კლუბი ფრანგმა თავდამსხმელმა კარიმ ბენზემამ დატოვოს, ხოლო რეალი მის ჩანაცვლებას ტოტენჰემის ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელით ჰარი კეინით აპირებს, რომელშიც მზადაა, 228 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ასევე იგეგმება ლონდონის ჩელსის ბელგიელი ჰავბეკის ედენ აზარის ყიდვაც, რომელიც დიდი ხანია, მადრიდელების სამიზნეა.

მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრებს კი ნამდვილად არ მოეწონებათ ის ფაქტი, რომ პერესი დე ხეას თვალთვალს თავს არ ანებებს, მეკარის მის რიგებში ხილვა კი დღემდე სურს, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე რეალი იუნაიტედს შეთავაზებას გაუკეთებს.

პერესი აზარისა და დე ხეას სანაცვლოდ 114 მილიონ ევროს ჩამოდის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი

### 30 იანვარი



**ვერძი** – მიენდეთ პარტნიორების რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში ახლო ნათესავების დახმარების იმედი გქონდეთ. **კურო** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა კომერციული საქმიანობისთვის. ბიზნესმოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ლომი** – დაისვენეთ. შესაფერისი დღეა ფიზიკური დატვირთვისა და სპორტისთვის. **ქალწული** – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **სასწორი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **ღრიანკალი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია. **მშვილდოსანი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დიდ ძალისხმევასა და პროფესიულ ცოდნას მოითხოვს. ემოციები აკონტროლეთ. **თევზები** – პროფესიულ საქმიანობაში გარეშე პირებს ნუ ჩარევთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ბუვიეს რომანი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 4. თანავარსკვლავედის ქართული სახელწოდება; 5. პატარა სამკუთხა ალამი; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 6. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობთა, შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 14. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი ნივთიერება; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. დამჟავებული ბოსტნეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. პანამა; 5. კარაბინი; 6. სოფია; 7. ოსირისი; 8. ბემოლი; 10. აბაზი; 13. ჟილეტი; 15. ტრანსი; 16. დედა; 17. პინა; 20. ნიამეი; 21. კისელი; 22. პატენტი; 23. დრაქმა.

**შვეულად:** 1. მაკიაჟი; 2. კამერტონი; 3. ლომბარდი; 4. პასტორი; 5. კარატი; 9. ლუნეტი; 11. ზანდუკი; 12. პირატი; 14. ლიგნიტი; 18. აბატი; 19. „იმედი“.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რაკეტა; 2. საუნა; 3. ტირანია; 4. პერანგი; 5. ანა; 6. ანანკე; 7. ბარიტი; 8. ია; 9. მამა; 10. მარად; 11. ალ; 12. კამიუ; 13. ნუკრი; 14. აზია; 15. მასრა; 16. იაგო; 17. სიმბიოზი; 18. ასტრალური; 19. სენა; 20. ურანია; 21. წუწურაქი; 22. ნარდი; 23. წუწკი; 24. ტკიპა; 25. ანწლი; 26. ნუტრია; 27. ბასი; 28. გარანტია; 29. დრიუ; 30. ტაბუ; 31. რანიკუ; 32. პირამიდა.

**სურათებზე:** ჰენესის როდრიგესი; დავიდ სილვა.

# კახის პატარა ალავერდის ჯვართამაღლების ეკლესია გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს



დეკანოზი ილია ჭიღლაძე სისტემატურად ავრცელებს ინფორმაციას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული იმ ეკლესია-მონასტრების შესახებ, რომლებიც მძიმე დღეში არიან და გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებენ.

ამჯერად დეკანოზმა ინტერნეტში გაავრცელა კახის პატარა ალავერდის ჯვართამაღლების ეკლესიის ფოტო, რომელსაც გადაუდებელი რესტავრაცია ესაჭიროება.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე:

– კახის პატარა ალავერდის ჯვართამაღლების ეკლესია აგებულია 1888 წელს. 1920-იანი წლებიდან დღემდე უმოქმედოა. საჭიროებს გადაუდებელ რესტავრაციას, განსაკუთრებით ცუდ დღეშია სახურავი.

საინგილო, ჰერეთი, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

# ლევან გოთუას ხსოვნის საღამო მისი სახელობის სკვერში გაიმართება



მწერლის ლევან გოთუას ხსოვნის საღამო მისივე სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში გაიმართება. მწერლის ახლობლები და მისი შემოქმედების გულშემატკივრები ხსოვნის მემორიალს ყვავილებით შეამკობენ, შემდეგ კი საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გადაინაცვლებენ.

**ივანე ჯავარიძე:**

– 30 იანვარს ლევან გოთუას სახელობის სკვერში, გოთუას ქუჩის ბოლოში ყვავილებით შევამკობთ ხსოვნის მემორიალს, რომლის მოქანდაკეც ჯემალ თუშურაშვილია. შემდეგ კი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გადავინაცვლებთ, სადაც ლევან გოთუას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება.

ლევან გოთუას სულისკვეთების ადამიანებს ყველას ვეპატიჟებით. ეს საღამო ტესტიცაა, რა ქართველობაც შეიკრიბება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ამით გამოჩნდება, აქვს თუ არა საქართველოს მომავალი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ ხოხოს ძე ზარანდიას ნათელ ხსოვნას



კიდევ ერთი ნაღდი აფხაზეთელი დაადგა მარადისობის გზას - ხსოვნის ბინადარი გახდა ჩვენი მეგობარი და ახლობელი - ნოდარ ზარანდია...

მისი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მშობლიური მიწა-წყალი და როგორ ექცე მას მარადიულ ძეგლად სულის ზეცად აზრძანების მერეც...

წუთისოფლიდან შვილის ნაადრევი გარიდების სევდით გულდაკოდილმა კაცმა, მიუხედავად საკუთარი ტრაგედიისა, ასმაგი ძალი მოიცა ქართულ-აფხაზური ჩატეხილი ხიდის აღსადგენად.

ნათელი ხსოვნა ამ ზნენათელი კაცისა, გვირგვინად დაადგეს იმქვეყნად წაბრძანებული ყველა აფხაზეთელის მოგონებას, ქართული გენის მარადიულობას იქ, იმ კურთხეულ მიწაზე - აფხაზეთში...

**ნაპო მესხია, როსტომ ცხვედიანი, რაჟდენ ქარდავა, მურმან სონგულია, პავლე ქვაჩახია, რაფიელ გელანტია, სიმონ ზაქარაია, ანზორ ბუკია, ზურაბ ბუკია, ბესიკ ქარდავა, ომარ გოგოხია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ერეკლე დეისაძეს ახალი ვიდეოს გამო აკრიტიკებენ



ერეკლე დეისაძე და მისი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი. მისი ახალი ნამუშევარი „ხალხური" ინტერნეტში გავრცელდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მსმენელმა გააკრიტიკა და ვიდეოს აღება მოითხოვა.

გია ყანჩელის ცნობილი ნაწარმოები „საით მიდიხარ" ერეკლემ თავისებურად გადააკეთა და ტექსტი ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ ბოლო მოვლენებს მოარგო. „ხალხური" – ასე უწოდა მომღერალმა ნამუშევარს, რომლის მუსიკაც ერეკლე დეისაძეს და გია ყანჩელს ეკუთვნის, ქორეოგრაფიაზე ილიკო სუხიშვილმა იმუშავა, ვოკალი ერეკლე დეისაძის და ნატო მეტონიძისაა, მუსიკალური პროდიუსერი ბექა კუნდალინია, ოპერატორი ტატო კოტეტიშვილი, ვიდეო ინჟინერი კი ვინდა ფოლიო.

**ერეკლე დეისაძე:**

– ჩემი შემოქმედების გამო არაერთხელ გავმხდარვარ კრიტიკის ობიექტი. ამას მე მიჩვეული ვარ, არც ეს სიმღერა აღმოჩნდა გამონაკლისი. უბრალოდ, ასეთ მოკლე ვადებში არ ველოდებოდი. მოითხოვენ, რომ ვიდეო ავიღო, სხვა შემთხვევაში ამაში საავტორო უფლებების ასოციაცია ჩაერთვება და შესაბამისი უწყებები სამართლებრივი გზით შეეცდებიან ამ საკითხის გადაწყვეტას.

ჩემი შემოქმედება ჩემი იდეური ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია. ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები მხოლოდ უმცირესობას ადარდებს და ამ მხრივ ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია, საავტორო უფლებებზე დავა ჩემთვის ღიმილის მომგვრელია.

მე არ ვაპირებ, ეს ვიდეო ავიღო. ალბათ, იუთუბს მიმართავენ და წაშლიან, მაგრამ ჩემი ხელით ეს არ მოხდება.

„დარღვეულია საქართველოში"

# ნინი ონიანი ჭკუის სწავლებით დაიღალა



მსახიობი და მოდელი ნინი ონიანი სხვებისგან გაუთავებელი ჭკუის სწავლებით და პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფით დაიღალა:

– ნეტავი ოდესმე თუ დადგება დრო, როდესაც აღარავინ აღარ ეცდება და არ ჩაყოფს თავის გრძელ, დანიშნულება დაკარგულ ცხვირს ჩემს პირად ცხოვრებაში! აი ძაან მარტივია, თუ გაინტერესებს რაიმე, მკითხე პირდაპირ მე. ჩემზე კარგად ვერავინ ვერ გაგცემთ პასუხს ჩემს პირად ცხოვრებაზე, თუ მაგის ტრაკი არ გაქვთ, უბრალოდ დაამოკლეთ ეს ენები. „იმან ესე და ეს, იმან ასე და ამისი, ის იმასთან...." კარქით ჰო, კარქით ვაჰ! რით არ დაიღალეთ?! ღმერთებო...

# სულა სულაშვილი: „როდესაც ვამაყობთ ილიათი, ნუ გავიწყდებათ, რომ მას ტყვია ვესროლეთ"



უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტი სულა სულაშვილი ყოველთვის იმ სატკივარზე საუბრობს, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს:

– როდესაც ვამაყობთ სულხან-საბათი, ნუ გავიწყდებათ, რომ ის თმებითა და წვერებით ვათრიეთ;

როდესაც ვამაყობთ ილიათი, ნუ გავიწყდებათ, რომ მას ტყვია ვესროლეთ;

როდესაც ვამაყობთ დიდოსტატით, ნუ გავიწყდებათ, რომ მარჯვენა მოვკვეთეთ;

როდესაც ვამაყობთ ახმეტელით, ნუ გავიწყდებათ, რომ სახალხო სასამართლო მოვუწყეთ და შემდეგ დავხვრიტეთ;

როდესაც ვამაყობთ ფიროსმანით, ნუ გავიწყდებათ, რომ კიბის ქვეშ შიმშილით ამოვხადეთ სული;

როდესაც ვამაყობთ ამბროს ხელაიათი; ნუ გავიწყდებათ, რომ ძაღლებს საჯიჯგნად მივუგდეთ;

როდესაც ვამაყობთ მიქელაძეთი, ნუ გავიწყდებათ, რომ ყურებში ლურსმნები ჩავაჭედეთ;

როდესაც ვამაყობთ პაოლოთი, ნუ გვავიწყდება, რომ მას საკუთარი ხელით თავი მოვაკვლევინეთ;

როდესაც ვამაყობთ, რომ გვყავდა ზვიადი, ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ის გავაძევევეთ და მოვკალით;

წარმომიდგენია: მამაზეციერს საკუთარი ძე ჩვენს ქვეყანაში რომ მოევლინა, მის საწამებლად ჯვარცმაზე უარეს მარაზმს მოვიფიქრებდით.

## კალეიდოსკოპი

# ბილ გეითსი ფულს იდეალური ძროხის შექმნაში აბანდებს



კომპანია მაიკროსოფტის დამფუძნებელმა ბილ გეითსმა ინვესტიცია განახორციელა არაკომერციულ პროექტში, რომლის მიზანს იდეალური ძროხის გამოყვანა წარმოადგენს.

მილიარდერმა ამ საქმისთვის 28 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი თანხა შესწირა არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილი ვაქცინების შექმნითა და გენეტიკითაა დაკავებული. ორგანიზაცია შოტლანდიაში ედინბურგის უნივერსიტეტშია დაფუძნებული.

მეცნიერები აპირებენ ახალ ჯიშის ძროხაში შეაჯვარონ ევროპული და აფრიკული ძროხების მახასიათებლები – მაღალი პროდუქტიულობა და ამტანობა მაღალი ტემპერატურის პირობებში.

– ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ძროხა, რომელიც იმავე ამტანობით ოთხჯერ მეტ რძეს მოგვცემს, – განაცხადა ბილ გეითსმა.

# კატამ დაკარგული ბიჭი ფარდულში გაათბო



კატა მიტოვებულ ფარდულში მთელი ღამის განმავლობაში ათბობდა დაკარგულ ბიჭს. ეს რუსეთში კალინინგრადის ოლქში მოხდა.

გაუჩინარებამდე 13 წლის რუსლანი 25 იანვარს დილით სკოლასთან ნახეს. შემდეგ კი ის მეორე დღეს დილით ნახეს.

როგორც ბიჭმა პოლიციელებს განუცხადა, ის რამდენიმე დღეში 14 წლის უნდა გახდეს. სკოლის ნაცვლად ის ბებიასთან გაემგზავრა, რათა სასწრაფოდ გადაეღო ფოტოსურათები და პასპორტი აეღო, მაგრამ ბებია სახლში არ დახვდა და გადაწყვიტა, რომ უკან ფეხით დაბრუნებულიყო.

როდესაც გზაში შემოაღამდა, მან გადაწყვიტა, ღამე მიტოვებულ ფარდულში გაეთია. იქ მას უპატრონო კატა დახვდა, რომელიც მას მთელი ღამე საკუთარი სხეულით ათბობდა.

მადლიერმა რუსლანმა გადაწყვიტა, კატა თავისთან სახლში წაეყვანა და მას სახელად მაშველი დაარქვა. დილით ბიჭი კატასთან ერთად პოლიციის თანამშრომლებმა იპოვეს, რომლებიც თითქმის ერთი დღე-ღამის განმავლობაში ეძებდნენ დაკარგულ მოზარდს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 30 იანვარი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ან/ფ "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.50** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15, 21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.25, 20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **14.30** დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" **15.30** დოკ/ფ **16.30, 05.30** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **22.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **23.15** მხ/ფ "**დინების საწინააღმდეგოდ**" (ჯ.ფაინსი) **00.50** მხ/ფ "**პოლოკი**" **03.50** მხ/ფ "**თანაკლასელები 2**" (ა.სენდლერი)

**06.30, 18.50, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" 8 სერ. **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ - პირისპირ **23.30** სერ. "**ღირსების საქმე**" 2 სერ. **01.00** მხ/ფ "**მთასვლელი**" **02.45** მხ/ფ "**მტრის ზურგში**" **04.45** მხ/ფ "**ერთადერთი გზა**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ოთხი ისტორია**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ვახო სანაიას დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-2**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" **16.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 9**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო-2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 3**" **22.30** სერ. "**ვიკინგები**" **3-4 00.30** მხ/ფ "**მზის ცრემლები**" **02.35** მხ/ფ "**შვიდი**" **04.50** მხ/ფ "**გაქცევა**" **06.25** მხ/ფ "**სიცოცხლეზე მონადირე**"

**იბერია** **08.00** ანანდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** ოდი გავეყაროთ **16.00, 2.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.05** სერ. **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თავისუფალი სივრცე **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** Hellow თბილისი **00.00** სერ. " **ვალანდერი**" **03.00** თავისუფალი სივრცე

**06.10** საეკლესიო კალენდარი **06.15** ისტორიის დღიური **06.25** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **07.55** ფოტოგალერეა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** მოკ/ფ "**მჭედელი**" **09.15** მულტფილმი "პრინცესა და მფრინავი რაშის საიდუმლო" **10.35** მოკ/ფ "**ალავერდობა**" **11.25** დ/ფ "მარადიული აწმყო" **12.05** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **13.35** კონცერტი - კამერული მუსიკის კონცერტი- ანანო გოკიელი **15.05** მხ/ფ "**მე,ბებია ილიკო და ილარიონი**" **16.35** კონცერტი - ნიკა რაჭველი "ქართული მუსიკის საღამო" **18.15** მოკ/ფ "**ბელა**" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** მოკ/ფ "**თედო**" **22.25** დ/ფ "უბისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გალმამხარელნი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ "**ოქროს ობობა**" III-IV სერ. **02.40** კონცერტი -რიჩარდ გალიანო **03.40** მხ/ფ "**გატეხილი ისარი**" **05.20** დ/ფ "შემოდგომა"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4578 | ევრო — 3.0636 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5021 | 100 რუსული რუბლი — 4.4037 |

## ამინდის პროგნოზი 30 იანვრისთვის





## 1 თებერვლიდან

# საქართველოს მეფეთა ისტორია




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




## 6 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

# ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ლეროი სანემ ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის გერმანელმა შემტევმა ლეროი სანემ კარდიფთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო. სანეს პირველი ტაიმის მიწურულს მეტოქე გუნდის ფეხბურთელი უხეშად ეთამაშა და ამ ინციდენტის შემდეგ სანემ შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო.

ჯერჯერობით უცნობია თუ რამდენ ხანს ვერ შეძლებს გერმანელი ფეხბურთელი თამაშს და შესაძლოა მისი ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდეს.

სანე ძალიან კარგ სეზონს ატარებს და ის მანჩესტერ სიტის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. გვარდიოლას თქმით, სანეს ტრავმა მისი გუნდისთვის დიდი დანაკლისია.

## ნეიმარი: „პსჟ-ში ბედნიერი ვარ და წასვლას არ ვაპირებ“



ბარსელონას ყოფილმა ფეხბურთელმა ნეიმარმა თავის ცხოვრებაზე ისაუბრა და თქვა, რომ პსჟ-ში ის ბედნიერია და ამ გუნდის დატოვებას არ აპირებს. ნეიმარის აზრით, პსჟ-ს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება და ნეიმარის მიზანიც სწორედ ეს არის.

— ვიცი, რომ ჩემზე ბევრს ჭორაობენ და ამბობენ, რომ სხვა გუნდში გადავალ სათამაშოდ. ამას უკვე მივეჩვიე და მინდა ვთქვა, რომ ეს მხოლოდ ჭორებია და პსჟ-ში ბედნიერი ვარ. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის და სხვა ტიტულების მოპოვება, — განაცხადა ნეიმარმა. ნეიმარს ყველაზე ხშირად მადრიდის რეალს უკავშირებენ.

## ედინ ჯეკო ჩელსის კონტრაქტზე ვერ უთანხმდება

ჩელსის რომას ფორვარდის ედინ ჯეკოს შეძენა სურს და ლონდონელები უკვე შეუთანხმდნენ რომას, მაგრამ თვითონ ჯეკოს პოზიცია ართულებს საქმეს. ბოსნიელ ფორვარდს იმაზე მაღალი ანაზღაურება სურს, ვიდრე მას ჩელსი სთავაზობს და ამის გამო ტრანსფერი ჭიანურდება.



თუ უახლოეს დღეებში მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ჯეკო რომაში დარჩება, რადგან სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს იხურება.

შეგახსენებთ, რომ ედინ ჯეკო წლების მანძილზე მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– დღისით თავს მოშვებულად, დაღლილად ვგრძნობ, სულ მეძინება, აი, ღამით კი, სრულფასოვან ცხოვრებას ვიწყებ.
– და რას აკეთებ?
– მძინავს.

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– სასწრაფოდ მკაცრ დიეტაზე უნდა დაჯდეთ, მხოლოდ მოხარშული მჭლე ხორცი, უარი უნდა თქვათ ტკბილეულზე, პურ-ფუნთუშეულზე, არავითარი ალკოჰოლი, სიგარეტი, ყავა, მინიმუმამდე შეამცირეთ სქესობრივი კონტაქტები და, რაც მთავარია, ცხოვრებით დატკბით.
– ???

●●●

დირექტორი ხელქვეითებს ეუბნება:
– აი თქვენ სულ წუწუნებთ, კრიზისზე, ცხოვრების გაუარესებაზე, ეკონომიურ მდგომარეობაზე და, სხვათა შორის, წელს თქვენი ხელფასი 75 პროცენტით მაღალია!!!
– ბოდიშით და მაღალი რომელ წელთან შედარებით? – ეკითხება ერთ-ერთი თანამშრომელი.
– მომავალ წელთან შედარებით...

●●●

ხელში იარაღმომარჯვებული კოვბოი ბარში შევარდა და იღრიალა:
– ვინ იწვა ჩემ ცოლთან!
ერთ-ერთი წამოდგა და უპასუხა:
– რაში გაინტერესებს? ყველაზე ტყვიები მაინც არ გეყოფა!

●●●

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:
– რატომ დააგვიანე სამსახურში?
– და თქვენ ხელფასს რატომ მიგვიანებთ?
– კი მაგრამ, ბოლოსდაბოლოს მაინც ხომ იღებთ.
– ჰოდა, მეც ბოლოსდაბოლოს სამსახურში მოვედი.

●●●

გვიან ღამით დედა და მოზრდილი ქალიშვილი ერთად მიყრუებულ რაიონში მიდიან. შვილი ეუბნება:
– დედა, ამბობენ, რომ აქ ქალებზე ძალადობენ.
– ეჰ, ჩვენ მაგის ბედი ვინ მოგვცა, შვილო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– უქალოდ ცუდია.
– როდესაც უქალოდ ცუდია – ეს კარგია, მაგრამ, როდესაც უქალოდ კარგია, მაშინ ეს უკვე ცუდია...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი




# „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი
ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი




# შავი ვარდი

ქართული დეტექტივი
ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი




# საზღაური

ქართული დეტექტივი
ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე




# საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა




# ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ზლატან იბრაჰიმოვიჩი შესაძლოა ლოს ანჯელეს გელექსიში გადავიდეს



მანჩესტერ იუნაიტედის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შესაძლოა მანჩესტერი დატოვოს და კარიერა ლონ ანჯელეს გელექსიში გააგრძელოს. ბოლო პერიოდში ზლატანი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და, გარდა ამისა, მას ტრავმებიც აწუხებს.

ლოს ანჯელეს გელექსიში იბრაჰიმოვიჩს მაღალი ხელფასი ექნება და ბევრი პრივილეგიით ისარგებლებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იბრაჰიმოვიჩი ამერიკულ კლუბთან აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს და ზაფხულში ის ლოს ანჯელესში გადაბარგდება. ზლატანი ამჟამად 36 წლის არის, თუმცა ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს.

## ბარსელონამ წაუგებელი მატჩების რეკორდი გაიმეორა



ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ 21 შეხვედრა არ წააგო და ამით თავისივე რეკორდი გაიმეორა, რომელიც კატალონიურმა გუნდმა 2009/2010 წლის სეზონში დაამყარა. მაშინ ბარსელონა 22-ე ტურში მადრიდის ატლეტიკოსთან დამარცხდა და კატალონიელებს შანსი აქვთ, რეკორდი გააუმჯობესონ. შემდეგ ტურში ბარსელონას იოლი შეხვედრა არ ელოდება და ერნესტო ვალვერდეს გუნდი სტუმრად ესპანიოლს დაუპირისპირდება. თუ ამ შეხვედრაში ბარსელონა არ დამარცხდება, მაშინ კატალონიელები ესპანეთის ჩემპიონატის წაუგებელი მატჩების ახალ რეკორდს დაამყარებენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 2. დადუღებული ყურძნის წვენი; 3. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 5. სუფრის ხელმძღვანელი; 6. ტერიტორიული ერთეული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 13. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 14. ავსტრალიური ველური ძაღლი; 15. მოხელე ძველ რომში, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა გადასახადის გადახდას; 16. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 17. ტკბილი კარტოფილი; 19. ფასიანი ქაღალდი; 20. კათოლიკური მღვდელთმსახურება.

**თარაზულად:** 1. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 4. გერმანელი მწერალი; 8. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 9. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 10. ქოთანში მზარდი მინიატურულ-დეკორატიული ჩინური ხე; 12. საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალვარდნილი; 14. ქართული საბავშვო ჟურნალი; 15. ქართველი დრამატურგი, „ხანუმას“ ავტორი; 16. ცხენშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. იაპონური ავტომობილი; 21. უნგრული ღვინო; 22. სამართავი სპორტული მარხილი; 23. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

